

03ანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03ანე ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

## 03ანე ჯავახიშვილი

კოლიტიკური და სოციალური  
მოძრაობა მე-19 საუკუნის  
საქართველოში

თბილისი – 2016

თქვენ წინაშე ივანე ჯავახიშვილის შესანიშნავი, მცირე ზომის გამოკვლევა, რომელიც 1906 წელს დაიწერა და გამოქვერდა ჰეტერბურგში, რუსელ ენაზე. ივ ჯავახიშვილი, მისთვის ჩვეული სიღრმითა და სიზუსტით ანალიზებს ყველა იმ მოვლენას, რაც თან ახლდა 1801 წლის აქტს და საქართველოს რუსეთის 1783 წლის ტრაქტატით გაუთვალისწინებულ მიერთებას. რუსელი ტაქტი საქართველისა და დღეს მისი აღმს დაინტერესებული საზოგადოებისა და სტუდენტებისათვის მარტივი არ არის ამიტომ, ვფიქრობთ, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბილეო კომისიის თანხმობა ამ შრომის თარგმნისა და გამოცემის შესახებ, დიდი ქართველი მეცნიერის მემკვიდრეობის გაცნობისა და ათვისების შერიცვ წინ გადაღვებული ნაბიჯია. დარწმუნებული გართ, ნაშრომს სიამოვნებით გაუცნობა საქართველოს როგორც სამუცნიერო წრეები, ასევე მკონსევლთა ფართო საზოგადოება.

**რედაქტორი:** ვაჟა კიკნაძე  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**მთარგმნელი:** რუსუდან მახათაძე

**ავტორის სტილი დაცულია**

© ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016

ISBN 978-9941-13-503-3

„ეროვნული თვითშემცნების  
გამოღვიძებისათვის, განსაკუთრებით  
კი, განმტკიცებისათვის წარსულის  
ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს“

ივანე ჯავახიშვილი,  
„ურთიერთობა რუსეთსა და  
საქართველოს შორის მე-18 ს-ში“,  
1919 წელი

## ოედაქტორის ფინანშემა

2016 წელს, საქართველოს ისტორიის მეცნიერული  
კვლევის ფუძემდებლის, დიდი ქართველი ისტორიკოსისა  
და საზოგადო მოღვაწის, სწორუპოვარი პიროვნების, ივანე  
ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს აღვნიშნავთ.

ამ თარიღთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუ-  
ბილეო კომისიამ მიიღო ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტის და პირადად, ჩემი წინადაღება, ქართულად  
თარგმნილიყო ივ. ჯავახიშვილის მიერ, 110 წლის წინ,  
რუსულ ენაზე დაწერილი საპროგრამო წერილი რუსეთ-  
საქართველოს ურთიერთობის შესახებ (1783 წლიდან –  
1905 წლამდე).

ეს წერილი ქართულად არასდროს თარგმნილა. მისი  
რუსული კი, საკმაოდ არქაული და რთულია. ამიტომ,  
ვფიქრობთ, მისი თარგმანი უდიდეს სამსახურს გაუწევს  
როგორც მეცნიერებს, ასევე, ამ საკითხებით დაინტერესე-  
ბულ მკითხველთა ფართო წრესა და განსაკუთრებით კი,  
სტუდენტებს.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, დიდი მადლობა გადავუ-  
ხადო ჯავახიშვილის საიუბილეო კომისიის მთელ შემად-

გენლობას, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტის თანამშრომელს ქ-ნ ნინო გიგანს, რომელმაც წიგნის ტექნიკურ გამართვაში დიდი წვლილი შეიტანა.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას თარგმანის გამართვის ტექნიკური მხარის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილს, მითითებები სქოლიოში შემოკლებით აქვს მოტანილი. ისინი ასევე დავტოვეთ (გავშალეთ მხოლოდ ძლიერ დაქარაგმებული სიტყვები), მაგრამ სტატიის ბოლოს დავურთეთ გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების გამართული სია. ასევე, გავშალეთ ივ. ჯავახიშვილის მიერ, ტექსტში უკიდურესად დაქარაგმებული სიტყვები (მაგ.: „പ.“–„ცარს“, „გრ.“–„გრაფ“ და ა. შ.).

ასევე, სადაც ეს უკიდურესად აუცილებელი იყო, თარგმანში კავებში ჩაკსვით დამატებითი განმარტებითი სიტყვა და იქვე აღვნიშნეთ, რომ ეს რედაქტორის შენიშვნაა. ასევე, რუსულ დედანში სქოლიოები, ციფრების ნაცვლად, ვარსკვლავებით არის აღნიშნული, რაც შევცვალეთ.

ვიმედოვნებთ, რომ ეს ნაშრომი, სამაგიდო წიგნად იქცევა არა მარტო დღევანდელი, არამედ მომავალი თაობებისათვისაც.

ვაჟა კიკნაძე

თბილისი,  
2016, აპრილი

# პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში<sup>1</sup>

წინასიტყვაობა

უკვე რამდენიმე წელია, რუსეთის საზოგადოებრიობის ფურადებას იქცევს საქართველოში გაშლილი მძლავრი პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა. ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც, მიაჩნია, რომ იგი მოულოდნელად, ერთბაშად გაიშალა. მათ ვერ გაუგიათ, როგორ გამოიმუშავა და გამოავლინა ქართველმა ხალხმა ასეთი ერთსულოვნება სოციალურ მოძრაობაში, საიდან იშვა ის სამაგალითო დისციპლინა და ორგანიზაციული საქმიანობა, რომელიც კულტურულობის თვალსაზრისით, ასე მომგებიანად განასხვავებს ქართულ მოძრაობას რუსეთის სხვა ადგილებში გაშლილი ამჟამინდელი მოძრაობისაგან. ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც, ბოლო ხანებამდე, რუსულ ენაზე არ არსებობდა მე-19 საუკუნის საქართველოში გაშლილი მოძრაობის თუნდაც მოკლე მიმოხილვა ისტორიული თვალთახედვით. მოცემული ნარკვევის ამოცანა გახლდათ ამ ხარვეზის შევსება და მკითხველისათვის შემდეგი განმარტების მიცემა: 1) რა იყო იმის მიზეზი, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანაში, ერთობ მომხიბდელელად წარმოჩენილი რუსეთის მთავრობისა და სამეფო სასამართლოს ავტორიტეტი პირწმინდად შეიღახა ქართველი ხალხის თვალში; 2) რომ საქართველოში გაშლილ სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობას მე-19

<sup>1</sup> ავტორმა პირველად გამოაქვეყნა 1906 წელს ასეთი სათაურით: პრივატ დოცენტი ჯავახოვი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX ს-ში, ს/პეტერბურგი, 1906, წიგნის გამომცემლობა „საქართველო“.

საუკუნეშიაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო ძველ  
ხანაზე, თავისი ისტორია ჰქონდა; რომ ქართველი ხალხი  
უკვე კარგა ხნის გამოწროთობილი და დისციპლინირებული  
გახლდათ ამ საქმეში; 3) და რომ ამჟამინდელ მოძრაობას  
ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული ხალხის ფსიქიკასა და  
ყოფა-ცხოვრებაში; რევოლუციურ პარტიებს კი არ შეულა-  
ხავთ მთავრობის ღირსება ხალხის თვალში, არამედ თავად  
მთავრობამ გაიტეხა სახელი თავისი ასწლიანი მმართვე-  
ლობისა და რეჟიმის დამკვიდრებით; თავად სასამართლომ  
შეარყია თავისი ავტორიტეტის საფუძვლები; საქართვე-  
ლოში გლეხთა საკითხის სწორედ მთავრობის ნებაზე  
გადაჭრამ მისცა ბიძგი აგრარული მოძრაობის უცილობელ  
აღმოცენებას. წინამდებარე ნარკვევის ავტორი მუდამ ოფი-  
ციალურ დოკუმენტებს ეყრდნობოდა და ცდილობდა, თავად  
თანამდებობის პირები აელაპარაკებინა, რადგან გაცილებით  
უფრო დამაჯერებელი და შთამბეჭდავია სწორედ მათ მიერ  
გამათრახებული მმართველობის სისტემის წარმოჩენა და  
მათივე კოლეგების ქმედებათა გამოაშკარავება.

აგრარულ მმართველობას საქართველოში დიდი ხნის ისტო-  
რია აქვს. დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ, მძიმე პოლიტი-  
კური პირობების მიუხედავად, აგრარული მმართველობის საქარ-  
თველოში მთელი მე-18 საუკუნის მანძილზე არ შემწყდარა.  
დროდადრო იგი აქა-იქ იფეთქებდა ხოლმე და თავს გვახ-  
სენებდა. იმის წყალობით, რომ ეკლესია მუდამ კერძო  
პირებზე უკეთ ინახავდა თავის დოკუმენტებს, ჩვენამდე  
მოღწეული მონაცემები აგრარულ მმართველობაზე უპირატესად  
საეკლესიო გლეხებს შეეხება. ჯერ კიდევ 1712 წელს,  
მეფე დავით იმამყულიხანმა (დავით II იმამყულიხანი,  
ერეკლე I-ის ძე, 1703-1722, რედ.) ვეზირს უბრძანა, ეკ-  
ლესიისათვის დაექვემდებარებინა ყვარლის ეკლესიის გლე-  
ხები და ვალდებულებად დაეკისრებინა მათთვის დაწესე-

ბული საეკლესიო ბეგარის გადახდა.<sup>1</sup> როდესაც მეფე ბაქარმა (ბაქარი შაპნავაზი, ვახტანგ VI-ის ძე, 1717-1719, რედ.), 1719 წელს, სოფელ კარწახში მონასტრისათვის იმავე საფუძვლებზე გაიღო შესაწირი, რა საფუძვლებზეც იმყოფებოდნენ სოფლები უზნარიანი და კარუკუმარტი, გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ხელისუფლებას, არ დაექვემდებარნენ მონასტერს, ამხედრდნენ და მეფე იძულებული შეიქნა, დაემორჩილებინა ისინი.<sup>2</sup> 1749 წელს, ბოლნისის ეკლესიის გლეხებმა ბოლნისის არქიეპისკოპოსს დაკანონებული ბეგარის გადახდა შეუწყვიტეს და ანტონ კათოლიკოსი (ანტონ I 1720-1780, კათოლიკოსი 1744-1755 წწ., რედ.)<sup>3</sup> იძულებული შეიქნა, საქმეში ჩარეულიყო. სწორედ ასევე, სოფელ ურბნისის გლეხებმა უარი თქვეს ეპისკოპოსისათვის დაწესებული ღალის გადახდაზე და 1776 წელს<sup>4</sup> ხელი აიღეს მის მორჩილებაზე. 1794 წელს მანგლისისა და რუისის ეკლესიების ყმა გლეხები დაიფან-ტნენ და თავიანთ ბატონებს გაექცნენ.<sup>5</sup> ოთხი წლის შემ-დეგ, იგივე გაიმეორეს ნოქოზის ეკლესიის გლეხებმა.<sup>6</sup> არსებობს ცნობები აგრარულ უთანხმოებაზე ასევე, გლე-ხებსა და მემამულებებს შორის,<sup>7</sup> მაგრამ პოლიტიკური პირობები, გარეშე მტრებისაგან მომდინარე, გამუდმებული საფრთხე, შეუძლებელს ხდიდა ამ მღელვარების ნორმა-ლურ დინებაში მოქცევას. როგორც ჩანს, საქართველოს სახელისუფლებო წრეებშიაც ამჩნევდნენ ბატონყმობისაგან

<sup>1</sup> Пурцеладзе, Церковные грамоты, გვ. 36.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 81.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 12-13, 45.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 92.

თავის დაღწევის გადვილების აუცილებლობას, თუნდაც, ზოგიერთ შემთხვევაში. ასეთებს მიეკუთვნება მეფე ერეპ-ლეს, კათოლიკოსის, ეპისკოპოსების, სამეფო კარის წარ-მომადგენლებისა და დიდგვაროვნების 1765 წლის დადგე-ნილება იმის თაობაზე, რომ „ამ წუთიდან იმ გლეხებთან მიმართებით, რომლებიც გათავისუფლდებიან ტყვეობიდან, ძველი მფლობელები ვეღარ გამოიყენებენ მფლობელობის უფლებას;“<sup>1</sup> რომ ყმა გლეხი, რომელსაც ტყვეობიდან არ გამოისყიდის თავისი ბატონი, თავისუფლდება დამოკიდებუ-ლებისაგან;<sup>2</sup> რომ მფლობელები, რომლებიც შიმშილობის დროს არ ზრუნავენ თავიანთ ყმებზე, კარგავენ მათზე მფლობელობის უფლებას და ა. შ. თუმცა, რასაკვირველია, მე-18 საუკუნეში, როდესაც მტრის შემოსევისაგან თავის დასაცავად, ქართველებს რუსთის პროტექტორატის ძებნა უწევდათ, მათ სოციალური რეფორმებისათვის არ ეცალათ. საქართველოს მმართველ წრეებში მიაჩნდათ, რომ ძლევა-მოსილი მფარველის დახმარებით, ისინი ჩაებმებოდნენ თა-ვიანთი ქვეყნის მშვიდობიანი, კულტურული განვითარების საქმეში. ხანგრძლივი, უსიამოვნო მოლაპარაკებების შემდეგ, მეფე ერეკლემ, ბოლოს და ბოლოს, მიაღწია იმას, რომ 1783 წელს გააფორმა ტრაქტატი იმპერატორ ეკატერი-ნესთან, რომლის თანახმადაც, „მისი უდიდებულესობა კისრულობს იმპერატორულ თავდებობას მისი უგანათლე-ბულესობის, მეფე ერეკლე თეიმურაზის ძის სამფლობე-ლოთა ხელშეუხებლობისა იმის გათვალისწინებით, რომ ასეთივე თავდებობა გავრცელდება და მტკიცედ დამკვიდ-რდება იმ სამფლობელოებზე, რომლებიც დროთა განმავ-ლობაში, გარემოებათა კვალობაზე, დანარჩენებს შემოე-მატება (არტიკული 2). მისი სამპერატორო უდიდებუ-

<sup>1</sup> ოქვე, 53, 1791 წლის აქტი; გვ. 27, 1776 წლის აქტი.

<sup>2</sup> ოქვე, გვ. 17, 1764 წლის აქტი.

ლესობა კეთილგანწყობით იღებს უმაღლესი ხელისუფლების აღიარებას და მფარველობას ქართლსა და ქართულ სამეფოებზე (sic!) და პირობას დეპს თავისი, თუ თავისი მემკვიდრეების სახელით, რომ: 1) პატივისცემით მოეპყრობა ამ სამეფოთა ხალხებს, რომლებიც მჭიდრო კავშირში და სრულ თანხმობაში იმყოფებიან მის იმპერიასთან და, აქედან გამომდინარე, მის მტრებს თავის მტრებად აღიარებს; 2) მისმა უგანათლებულესობამ, მეფე ირაკლიმ, თეიმურაზის ძემ და მის მემკვიდრეთა და შთამომავლთა სამეფო სახლმა, უცილობლად უნდა შეინარჩუნონ მეფობა ქართლისა და კახეთის სამეფოებზე; 3) ხელისუფლება, – შერწყმული შინაურ საქმეთა მმართველობასთან, სამართლის ქმნისა და სასჯელის დადების, ისევე როგორც მოსაქრებლის აღების უფლება ებობოს მის უგანათლებულესობა მეფეს მისივე სრული სარგებლობისათვის, ხოლო მის სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობას აეკრძალოს ყველანაირი განკარგულების გაცემა (არტ. 6). სამაგიეროდ, მისი უგანათლებულესობა მეფე პირობას დებს, რომ: 1) ის და მისი შთამომავლები, თავიანთ მებრძოლებთან ერთად, მუდამ მზად იქნებიან მისი უდიდებულესობის სამსახურისათვის; 2) ყველა საქმის გადასაჭრელად, მათ შორის, იმ საქმეებისაც, რომლებიც მისი საიმპერატორო უდიდებულესობის სამსახურს ეხება, მიმართავს რუსეთის ხელმძღვანელობას; რომ მის მოთხოვნილებებს დაკამაყოფილებს და მისი უდიდებულესობის ქვეშვრდომებს ყოველგვარ დევნასა და შეურაცხყოფას აარიდებს თავიდან (არტ. 7). გარდა ამისა, „მისი უგანათლებულესობა პირობას დებს, რომ მასთან აკრედიტებულ მთავარ სასახლვრო უფროსთან და მისი უდიდებულესობის მინისტრთან წინასწარ შეუთანხმებლად არანაირ ურთიერთობას არ დაამყარებს მეზობელ მფლობელებთან“ (არტ.

4). მაგრამ საქართველოს არც ამ ტრაქტატმა უშველა. რუსეთის ხელისუფლება თავს არ იწუხებდა თავისი აღ- თქმის აღსასრულებლად.

1787 წელს, ქართველთათვის სრულიად მოულოდნელად უკან გაიხმეს რუსული ჯარის ის მცირე რაზმიც კი, რომელსაც ვითომ უნდა დაეცვა ქართული ტერიტორია. მეფე ერეკლეს შეხედულებანი და არაერთგზის თხოვნა იმის თაობაზე, რომ გაეწიათ ტრაქტატის პირობის თა- ნახმად განსაზღვრული სამხედრო შემწეობა, უგულებელ- ყოფილ იქნა მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი განმარ- ტების საფუძველზე, რომ „საქართველოში ჯარის გაგ- ზავნით ვერავინ იხეირებდა“. ასე რომ, საქართველო, მიუხედავად საზეიმო დაპირებებისა და იმპერატორის მიერ მიცემული პირობისა, ბედის ანაბარა დააგდეს და 1795 წლის 12 სექტემბერს დასაგლეჯად მიუგდეს სწორედ რუსეთთან დადებული ტრაქტატის გამო, შურისძიების წყურვილით შეპყრობილ სპარსეთის შაჰს – აღა-მაჰმად- სანს. და მხოლოდ იმავე წლის 1 ოქტომბერს რუსეთის მთავრობამ უბრძანა გენერალ გულივიჩს, „შეხიდებოდა ირაკლის, როგორც რუსეთის ვასალს, მტრული თავდას- ხმებისაგან თავის ასარიდებულად, ტრაქტატის პირობის თანახმად, ქვეითთა ორი სრული ბატალიონით“. რუსეთის მიერ გაწეული დახმარება იმდენად დაგვიანებული და მწი- რი გახლდათ, რომ 1797 წელს, ქართველი ელჩი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე იძულებული შეიქნა იმპერატორი- სათვის ეთხოვა კატეგორიული და ნათელი პასუხი: „გნე- ბავს თუ არა შენ, თვითმპყრობელო და დიდებულო ხელმწიფევ, შეასრულო ტრაქტატის პირობები მისი პირ- ვანდელი ძალმოსილებით და გნებავს თუ არა, ტრაქ- ტატიდან გამომდინარე, ვალდებულებების თანახმად, დახ- მარება გაუწიო ჩემს მეფეს, რომელიც შევიწროვებას

განიცდის?“<sup>1</sup> მეფე ერეკლე მეორეს მემკვიდრეს, გიორგი მეცამეტეს მიაჩნდა, რომ საქართველოსათვის დაპირებული დახმარება მტრებისაგან თავის დასაცავად რეალობად იქცეოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი უარს იტყოდა თავის არაერთ პოლიტიკურ უფლებამოსილებაზე და თავის სურვილებს მაქსიმალურად მოთოკავდა.

მეფე გიორგიმ ვერ მოასწორო რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებების დასრულება, თუმცა მის წარმომადგენლებს არაერთგზის მოუწიათ იმის შეხსენებამ, რომ აუცილებელი იყო საკითხის დროულად გადაჭრა. მაგრამ გიორგი მეცამეტემ ამ მოლოდინში განუტევა სული. ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, ჯერ კიდევ მეფის გარდაცვალებამდე შეუდგა ხალხის შემზადებას თავის მოსალოდნელ გამეფებასთან დაკავშირებით, რადგან საფუძვლიანად უფრთხოდა სხვა პრედენდენტის ინტრიგებს. გენერალმა ლაზარევმა „არაერთხელ, ფრიად თავაზიანად, მოახსენა მას, რომ აჩქარება სასურველი არ იყო“ (კავკასიის არქეოგრაფიული<sup>2</sup> კომ.-ის აქტები, I, 188, რუსულ ენაზე), თითქოს მიანიშნებდა, რომ ღირსეული მეფობა მაინც არ ასცდებოდა, თუმცა გულში უკვე დარწმუნებული იყო იმაში, რომ საქართველო საბოლოოდ მიუერთებოდა რუსეთის სამფლობელოებს. გენერალმა ლაზარევმა, იმ მიზნით, რომ სრულად მოეხერხებინა ორიენტირება და წინდაწინვე მიეღო უსაფრთხოების ზომები, სოხოვა გენერალ კნორინგს, მისთვის გადაეცა ტახტის მემკვიდრესთან მოსული ყველა წერილი, რათა მათ შინაარსს გასცნობდა და წინდაწინვე მომზადებულიყო აუცილებელ ქმედებათა განსახორციელებლად. საქმე ისაა, რომ დავით

<sup>1</sup> Цагарели, Грамоты II №126; Авалов, Присоединение Грузии к России, 169.

<sup>2</sup> ტექსტში, შეცდომით „არქეოლოგიური“ წერია (შემოკლებული ფორმით).

ბატონიშვილი უკვე აღარ მალავდა თავის უქმაყოფილებასა, თუ შეშფოთებას და ქვეყნის გასაგონად საუბრობდა ხელ-შეკრულებების დარღვევასა, თუ უკანასკნელი მეფის სურ-ვილების უგულებელყოფაზე. გენერალი ლაზარევი ცდი-ლობდა მემკვიდრის გადარწმუნებასა და დამშვიდებას, ოღონდ, იმავდროულად, ხელში იგდებდა მასთან მოსულ ყველა წერილს და ზედმიწევნით საგულდაგულო მეთვალ-ყურებას აწესებდა (იქვე, I, 304). 1801 წლის 12 სექტემბერს უკვე საქვეყნოდ გამოცხადდა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და სამეფოს გაუქმების ამბავი. ამან საქართველოში დიდი უქმაყოფილება გამოიწვია. ტფი-ლისში ეს ამბავი მხოლოდ 1802 წლის 8 მაისს გამოც-ხადდა. გენერალ კნორინგს ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ქართველები თავიათი სამეფოს გაუქმების შემდეგ, ნებაყოფლობით არ შეჰვიცავდნენ ერთგულებას იმპერატორ ალექსანდრე პირველს და აუცილებლად მიიჩნია, ტყუი-ლითა და მუქარით დაეტყუებინა მათთვის ეს ფიცი. მან თავისთან მიიწვია დიდგვაროვნები, სასულიერო პირები და მოქალაქეები და როდესაც საზოგადოებამ თავი მოიყარა, გენერალმა კნორინგმა ჯარს უბრძანა, სახლისათვის ალყა შემოერტყა, მოწვეულებს კი, ერთგულების ფიცის დადება უბრძანა. ვინც გაბედა და განაცხადა, რომ სამეფოს გაუქმება ეწინააღმეგებოდა ტრაქტატის პირობებსა და ქარ-თველთა ნებას და ამის საფუძველზე, უარი განაცხადა ფიცის დადებაზე, დააპატიმრეს (ნ. დუბროვინი, სამხრეთი კავკასია, 1803 – 1806 წწ. გვ. 33, რუსულ ენაზე). ქართველებმა დაინახეს, რომ საქმემ მოულოდნელი მიმარ-თულება მიიღო. თუმცა, ბევრ გავლენიან პირს ჯერ კიდევ ევონა, სამეფო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გააუქმეს, რომ იმპერატორის თვალში ხალხისათვის ჩირქი მოუცხიათ და მისთვის ბევრი რამ არასწორად მოუხსენებიათო; რომ

საკმარისი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ საქმის აღმცრა და ყველაფერი თავისთავად მოგვარდებოდა; ასე მაგალითად, ქართველი ნდობით აღჭურვილი პირი რუსეთის სამეფო კარზე – თავადი გარსევან ჭავჭავაძე საქართველოში იწერებოდა: „ხელმწიფესთან რა დავალებებიც მქონდა გიორგი მეფისაგან საქართველოზე მსჯელობასთან დაკავშირებით, არც ერთი არ შესრულებულა: სამეფო განადურებულია... არც ერთი მოდგმა ისე არ დაუმცირებიათ, როგორც ქართველები. გიგზავნით მანიფესტისა და ბრძანებების ასლებს, რომლებიც დაგარწმუნებენ ჩემი წერილის მართებულობაში. ჯერ კიდევ დრო გაქვთ, საზოგადოებამ ერთი წერილი მოიწეროს. მე აქ წარვსდექი და კვლავ ჩვენს მდგომარეობაზე ვიმსჯელე. ვითხოვდი მეფესა და მფარველობას. იცით, თუ მეფეს მოითხოვთ, მოგეცემათ; შეგიძლიათ არ მიიღოთ აქედან თქვენთვის გამოგზავნილი განკარგულებანი“ (აქტები, II, 304). მაგრამ ეს ფუჭი იმედები იყო: პეტერბურგში საკითხი საბოლოოდ გადაეჭრათ. ხელისუფლებას, რასაკვირველია, არ უხელმძღვანელია იმ ძირეულად განსხვავებული მოსაზრებებით, რომლებიც ზარზეიმით გამოეფინათ საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტში. პეტერბურგიდან გამოგზავნილი განკარგულებების არმიღება არც ისე ადვილი იყო. რუსული ჯარები თბილისის გარშემო განალაგეს და ყველას, ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა, პატიმრობა ელოდა. საყოველთაო ერთობლივ პროტესტს, ეგებ გამოეღო კიდეც რაიმე ნაყოფი, მაგრამ საქმეც სწორედ ის იყო, რომ საქართველოში, იმ დროს, სამი პარტია მოქმედებდა და ისინი არათუ სოლიდარულნი არ იყვნენ თავიანთ საქმიანობაში, არამედ მეტწილად მტრობდნენ კიდეც ერთმანეთს. პირველი, ტახტის მემკვიდრის, დავით ბატონიშვილის მომხრეთა პარტიას წარმოადგენდა, მეორე, — ტახტის პრე-

ტენდენტის, იულონ ბატონიშვილის ქომაგთა პარტია გახლდათ, მესამე კი, რუსეთის მთავრობის გულშემატკი-ვართაგან შედგებოდა. ისინი საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძოდნენ და მხარს უჭერდნენ საქართველოს რუსეთთან სრულ შეერთებას. მართალია, ეს პარტია მცირე-რიცხოვანი გახლდათ, მაგრამ, რუსეთის ჯარის სიახლოვიდან გამომდინარე, დიდ საფრთხეს უქმნიდა პირველ ორ პარტიას, რომლებიც მტკიცედ მოითხოვდნენ დადგეული ტრაქტატის პირობების განუხრელად შესრულებას რუსეთის მთავრობის მხრიდან. რუსეთის მთავრობის მომხრეთა პარტიაში შედიოდა ორი კატეგორია: ერთი პირადად მტრობდნენ დავით ბატონიშვილს, მეორე ჯგუფს კი, გულწრფელად სწამდა, რომ რუსეთი საქართველოს მშვიდობასა და კეთილდღეობას მოუტანდა, მტრების შემოსევებისაგან დაიცავდა და წესრიგს დაამყარებდა (პ. იოსელიანი, „მეფე გიორგი მეცამეტეს ცხოვრება“, ქართულ ენაზე, გვ. 191, 259, 265-6, 273). ბატონიშვილ დავითისა და ბატონიშვილ იულონის პარტიები ერთნაირად იდგნენ საქართველოს მთლიანობის შენარჩუნების სადარაჯოზე, მაგრამ, მაშინ როდესაც პირველის მომხრენი მეფე გიორგი მეცამეტეს თვალსაზრისის იზიარებდნენ და თუნდაც მარტო მეფის ტიტულის შენარჩუნებასა და ქართველ ბაგრატიდთა მოდგმაში მის მემკვიდრეობითობას კმარობდნენ, სხვა დანარჩენში კი, ყაბულს იყვნენ, პეტერბურგიდან წამოსულ განკარგულებებს დამორჩილებოდნენ, იულონის მომხრეები მეფე ერეკლე II-სა და იმპერატორ ეკატერინე II-ს მიერ დადებული ტრაქტატის პირობების შესრულებას მოითხოვდნენ, საქართველოს კი, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოიაზრებდნენ შინაურ საქმეებში ჩაურევლად. საქართველოს დამოუკიდებლობის განადგურებამ და რუსეთის მთავრობის წარმომადგენელთა ქმედებებმა ორივე პარტია

რუსებისადმი მტრულად განაწყო. თუმცა, მალე, რუსოფილების პარტიაც, რომელიც, რა თქმა უნდა, რუსეთის მთავრობისაგან უანგაროდ ელოდა სიკეთეს თავისი სამშობლოსათვის, განუდგა საქართველოს რუს მმართველებს. დარჩა მხოლოდ მცირერიცხოვანი ხროვა, რომელიც ანგარებითა და პირადი გამორჩების იმედით ცდილობდა ვითარების სათავისოდ გამოყენებას.

საქართველოში იმხანად დამკვიდრებულ რუს მმართველთა, მთავარსარდალთა და მოხელეთა უცერემონიობას საზღვარი არ ჰქონდა. ყველაფერი დასაშვები იყო: ჯერ კიდევ 1801 წლის 12 სექტემბერს კალმის ერთი მოსმით დაწესდა უზენაესი ქართული მთავრობა 4 ექსპედიციით, რომლებშიაც ქართველები შეავიწროვეს და მყის უკანა პლანზე გადაანაცვლეს. ყველგან უფროსობდნენ რუსი მოხელეები, რომლებმაც არ იცოდნენ ქართული ენა და საქართველოში მარტო იმიტომ აღმოჩნდნენ, რომ რუსეთში აღარ დაედგომებოდათ<sup>1</sup>. ყველა დაწესებულებიდან, მათ შორის, სასამართლოდანაც, მყის განიდევნა მშობლიური, მოსახლეობის მიერ გათავისებული ერთადერთი ენა. როგორც სისხლის სამართლის საქმეებში, ისე სამოქალაქო პროცესებში, ნაბრძანები იყო ყველა ინსტანციაში ეხელ-მძღვანელათ ზოგადი რუსული კანონებით. მხოლოდ სამოქალაქო საქმეებში გამოკვეთილებანი მეფე ვახტანგის კანონების თანახმად, თუმცა, სისხლის სამართლის დანაშაული ზოგადიმპერიული კანონებით ისჯებოდა. თვით სკოლის მასწავლებლებიც კი, თავს უფლებას აძლევდნენ, სასწავლო დაწესებულებებში გამოყენებინათ „ანდაზები და გულსატკენი გამოთქმები ახლადმოპოვებულ მიწა-წყალთან მიმართებაში“.<sup>2</sup> სამი წელიც არ

<sup>1</sup> Акты, გვ. 57.

<sup>2</sup> Акты II, გვ. 199.

გასულიყო და ისინი, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე რუსების გამოჩენისათვის ღმერთს მადლობას სწირავდა, ახლა თავ-ბედს იწყევლიდნენ. თვით საქართველოს მთავარ-სარდლად ახლადდანიშნული თავადი ციციანოვი ეუბნებოდა 1803 წელს გადაყენებულ საქართველოს მმართველს, კოვალენსკის: „თქვენ შეურაცხყოფდით მათ (ქართველთ) თქვენი ქცევით და ამით მთავრობისადმი ისეთ სიძულვილს უღვივებდით, რომ მე შევნიშნე განწყობილების თავზარდამ-ცემი ცვლილება რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ... ხუთი დღე ისე გავიდოდა, რომ არსად ჩანდით და... არცთუ იშვიათად, ბატონიშვილებს, რომლებიც თქვენი ხილვის ბედნიერებას ელოდნენ, უარს ეუბნებოდნენ (მიღებაზე) იმ საბაბით, რომ თქვენ მათ მისაღებად არ გეცალათ.“<sup>1</sup> ყოფილი ქართველი ელჩი გარსევან ჭავჭავაძე ამგვარად აღწერს ქართული საზოგადოების რუსოფილური ნაწილის მაშინდელ განწყობას: „ხალხმა, რომელიც გმინავდა მეფეებისა და მათი მრავალრიცხოვანი ოჯახების უღლის ქვეშ, მეტს ვეღარ გაუძლო და მფარველობისათვის მის უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატორს მიმართა ამ უღლის გადაგდების იმედით. და სასურველი სინამდვილედ იქცა. მაგრამ ამჟამად, ხალხი კიდევ უფრო დრტვინავს... აწმყო მათვის გაუსაძლისი ხდება... აქედან გამომაქვს დასკვნა: ყველა დიდგვაროვნის თვალსაზრისით, უნდა აღ-დგეს ძველებურად (საქართველოს, რედ.) მეფე და მისი სამეფო.“<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, დიდგვაროვანთა ის წარმო-მადგენლებიც კი, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შე-ერთებას თავიანთი ქვეყნისთვის ბედნიერებად აღიქვამდნენ, მთავრობას ოპოზიციაში ჩაუდგნენ და ქართული სამეფოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოინდომეს. ახლა უკვე ყველა

<sup>1</sup> Акты II, გვ. 20.

<sup>2</sup> Акты II, გვ. 362-3.

პარტია ეთანხმებოდა ერთმანეთს გამოსავლის მაძიებლობასა და იდეალებში. მარტო ქართველი გლეხობა ყოფილი იყო, რადგან სულის სიღრმეში ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ რუსების წყალობით, თავის მდგომარეობას გაიუმჯობესებდა. ასე, მაგალითად, თავად ო. ციციანოვის ერთმა ყმა გლეხმა ქალმა ფარულად ამცნო რუს მოხელეს, რომ „ის, ისევე როგორც ყველა გლეხკაცი, რუსებს ერთგულებდნენ, მაშინ როდესაც თავად-აზნაურები მათ ვერ იტანდნენ.“<sup>1</sup> მაგრამ გამოხდა ხანი და ქართველმა გლეხებმა დაკარგეს იმედი და რუსული მთავრობისადმი სიმპათიაც გაუნელდათ. როდესაც რუსთა ბატონობის მძიმე ტვირთი მათაც თავს დაატყდა, მაშინდა მიხვდნენ, მომავალში რაც ელოდათ. ყვალაზე ადრე იმედგაცრუება ეწვიათ ქართველ მთიელებს, რომლებიც იმ ადგილებში ცხოვრობდნენ, სადაც საქართველოს სამხედრო გზა გადიოდა. იმის მიუხედავად, რომ რუსთა მთავრობა დაპირდა, რომ 7 წლის განმავლობაში არანაირ გადასახადს არ გადაახდევინებდა, პირველ-სავე წელს მოსთხოვა საურავის გადახდა და, ისიც, 2 წლის მანძილზე უცილობლად ფულადი სახით, ან ვერ-ცხლით უნდა გადაეხადათ. როდესაც მოსახლეობა ვერ ახერხებდა ამოდენა თანხის გადახდას, რუსი მოხელეები აიძულებდნენ, ვერცხლეული ეკლესიდან გამოეტანათ. უფრო მეტიც... გამოცხადდა, რომ კაზაკები და ჩაფრები მოსახლეობისაგან შეიძლებათ. უსასყიდლოდ სარგებლობდნენ ცხენებითაც. ჯარი დასცინოდა მოსახლეობას. ქალებს ურემში აბამდნენ და მათრახით მიერეკებოდნენ გადატვირ-თული საზიდრის

<sup>1</sup> Акты II, гл. 303.

სატარებლად. იყო არაერთი შემთხვევა ქალების გაუპატიურებისა.<sup>1</sup> აივსო ქართველი მთიელების მოთმინების მოთმინების ფიალა. ნანატრი ერთმორწმუნე მხსნელები მოსისხლე მტრებზე უკეთესნი არ გამოდგნენ და როდესაც, 1804 წელს, მთავრობას მოლაშქრეთა შეკრება მოეპრიანა მაშველი ჯარის გასაგზავნად სპარსეთთან გამართულ სამხედრო მოქმედებათა სარბიელზე, ყველა ქართველმა მთიელმა უარი განაცხადა და ამხედრდა: ისინი შეუთანხმდნენ დანარჩენ ქართველთა ტომებს, ისევე როგორც ოსებს და მოლაპარაკება გამართეს დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის, სოლომონის კარზე მყოფ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებთან. დამსჯელი რაზმის უფროსის, შანშე ერისთავის მოთხოვნას, დამორჩილებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას, მეამბოხეებმა უპასუხეს, რომ რუსთა ბატონობას ისინი უკიდურესობამდე მიეყვანა, რომ მათ ტვირთად აწვათ მძიმე გადასახადები და ნატურალური ვალდებულებანი და რომ ამიტომ გადაეწყვიტათ, არც ერთი რუსი აღარ გაეტარებინათ საქართველოს ტერიტორიაზე<sup>2</sup>. ამბოხებულები შეუდგნენ საქართველოს რო გზის ჩახერგვასა და დაზიანებას, ყველა ხიდი დაანგრიეს და სხვადასხვა ადგილას გვარიანი ხერგილები მოაწყვეს. ტფილისთან და ვლადიკავკაზთან კავშირი გაწყდა, ყველა კურიერს მეამბოხეები იგდებდნენ ხელთ და პატაკებს ართმევდნენ. მეამბოხეთა რაზმი თავს დაეცა კაზაკების პოსტს კაიშაურში და ყველანი გაანადგურა. მხოლოდ ორი გადაურჩა სიკვდილს და თავდასხმის ამბავი ადგილობრივ უფროსობას შეატყობინა<sup>3</sup>. მალე რაზმი გარშემოერტყა ყველა პუნქტს, სადაც განთავსებული იყო

<sup>1</sup> Акты II, გვ. 311.

<sup>2</sup> Акты II, გვ. 306-7.

<sup>3</sup> Акты II, გვ. 308-9.

რუსთა ჯარები, ქალაქ დუშეთის ჩათვლით. მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა. მაშინ საქართველოს მმართველმა თავადმა ვოლგონსკიმ განაცხადა, რომ მოსახლეობის ყველა საჩივარს შეისწავლიდნენ და მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდნენ. იმისათვის, რომ საქმე მშვიდობიანად მოეგვარებინა და ამბოხებულები დაეშოშმინებინა, მათთან მან საპატიო პირები გააგზავნა, რომელთაც საქართველოს კათოლიკოსის წერილი გაატანა. მათ ამბოხებულები უნდა დაერწმუნებინათ, რომ ყველა საფუძვლიან საჩივარს ანგარიშს გაუწევდნენ. საპატიო პირებმა მოლაპარაკების საწარმოებლად ამბოხებულთა წარმომადგენლები მოიყვანეს და თავადმა ვოლგონსკიმ მათაც იგივე გაუმეორა. დროებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. როდესაც საომარი მოქმედებანი განახლდა, მეამბოხეებს თავიდან ბედმა გაუღიმა, მაგრამ აჯანყება მაინც ჩაახშეს. ცუდად შეიარაღებული რაზმები ზარბაზნებით აღჭურვილ რეგულარულ ჯარს ხანგრძლივ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. 1805 წლის 4 აპრილს ოულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები რუსეთში გაამგზავრეს, დანარჩენი მეთაურები კი, რიცხვით 70 დააპატიმრეს და მართლმსაჯულებას გადასცეს.

აღშფოთებულ ქართველ მთიელთა მიერ რუსი მოხელეების უმსგავსობათა გამოაშკარავებას, თითქოს უნდა ეიძულებინა უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები, შესდგომიდა იმ საარაკო და აღმაშფოთებელი ბოროტების ამოძირკვას, რომელიც გაუსაძლის ტვირთად აწვებოდა ქართველობას და აიძულებდა მას იმ მძიმე, პოლიტიკურად არც თუ უსაფრთხო ხანაზე ეოცნება, როდესაც საქართველოს უკანასკნელი ქართველი მეფეები მართავდნენ. სინაძღვილეში კი, ყველაფერი ძველებურად მიდიოდა: იგივე თანხების გამოძალვა, ისეთივე დანაშაულებრივი ქმედებანი და დამნაშავე პირთა და მოხელეთა კვლავინდებური დაუს-

ჯელობა. ქართველი გლეხები რუსული ჯარის გამოსაკვებად დაწესებული საურმე ბეგარის უღლის გამო გმინავდნენ. ქართლელმა და კახელმა თავადებმა, რომლებიც მოთმინებიდან გამოეყვანა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის საჩივრებით მიმართვის უშედეგობას, 1810 წელს, ბოლოს და ბოლოს, უმორჩილესი თხოვნით მიმართეს მას: „ყველა ჩვენგანის სურვილია, მსხვერპლად გავიღოთ არა მარტო ჩვენი ქონება, არამედ თვით ჩვენი სისხლი თქვენი უმაღლესი სახელის სადიდებლად; მაგრამ ჩვენი გლეხკაცები, რომლებიც ურმებსა და ცხენებს გაწვდიან, თვითონ ქირაობენ მათ 50, 40 ან 30 რუბლად, მაგრამ ანაზღაურებას იღებენ 1, 2 ან 3 რუბლის ოდენობით, რის გამოც საშინელ შევიწროვებას განიცდიან. ამიტომ გთხოვთ, ჩვენს გლეხკაცებს ის ფასი გადაუხადოთ, რა ფასადაც თავად ისინი ქირაობენ ურმებს, რათა შეძლონ კვლავ იმსახურონ, პური თესონ და მოიმკან, ოღონდ ახლებური წესების თანახმად არ დააჯარიმონ და კიდევ დამატებითი ბეგარა არ დააკისრონ.“<sup>1</sup> ჯარის ყოველი გადაადგილებისა, თუ სხვა, თუნდაც უმნიშვნელო, საჭიროების გაჩენისას, მთავრობა გლეხებისაგან ბლომად საზიდარს ითხოვდა. ხშირად ურმებს სრულიად უქმად აკავებდნენ ერთ ადგილას ისე, რომ ქართველი (თავადაზნაურთა, რედ.) მარშლის, თავად თამაზ ორბელიანის სიტყვებს თუ დავესესხებით, გლეხებს ათასობით ხარი ეხოცებოდათ და მხოლოდ მეოცედი ნაწილი თუ ბრუნდებოდა უკან. ხალხი ეკონომიკური თვალსაზრისით, კოტრდებოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.<sup>2</sup> თუ როგორი შემზარავი, უაზრო სისასტიკით ეპყრობოდნენ ქართველ მოსახლეობას, იქიდანაც ჩანს, რომ „პატარა საქართველო მშვიდობიანობის ხანაშიც კი, ყო-

<sup>1</sup> Акты IV, 22.

<sup>2</sup> Акты V, 65 და 66.

ველწლიურად ინახავდა 112 000 სადღელამისო ცხენსა და მის მეხრეებს. ეს ვალდებულება, თითქმის უსასყიდლოდ სრულდებოდა და მხოლოდ ტვირთის გადაზიდვაში უხდიდნენ 2/15 კაპიკს ფუთ-ვერსიდან. მოგვიანებით, პასკევიჩის ხანაში, როდესაც საურმე ბეგარა დარეგულირდა, თვით ომის დროსაც კი, 8000 ურები საკმარისი აღმოჩნდა არმიის ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად!“<sup>1</sup>

ოფიციალურ დოკუმენტებში მოიძებნება საქართველოს მთავარსარდლის, თვით მარკიზ პაულიჩის მოწმობა იმ კოლოსალურ ბოროტებაზე, რომელსაც მთავრობის მოხელეები ჩადიოდნენ.

„როდესაც გავეცანი ყველა მხარეს, რომელიც ჩემი მმართველობის სფეროში შემოდიოდა, წავაწყდი თანამდებობის ბოროტად გამოყენების არც თუ უმნიშვნელო ფაქტებს, რამაც თავი იჩინა რუსული მმართველობის პირველივე დღეებიდან სურსათ-სანოვაგესთან დაკავშირებულ საკითხებში იმ ღონისძიებებთან მიმართებით, რომლებსაც იყენებდნენ კომისიონერები მაცხოვრებლებისაგან სურსათის მიღებისას და რომლებიც მმიმე ტვირთად აწვებოდა ხალხს, ხაზინას კი ზიანს აყენებდა...“

ამ საგანს როდესაც ვეხები, ჩემდა უნებურად მიწევს აქაური წინა მმართველობის გაკრიტიკება. ის აშკარად თვალს ხუჭავდა დანაშაულებრივ ქმედებებზე და არად აგდებდა დრტვინვას, რომელიც დროდადრო გაისმოდა მოსახლეობაში. იგი არ ცდილობდა იმ ბოროტების აღმოფხვრას, რომელმაც იმდენად იმძლავრა, რომ ზოგიერთი უკიდურესად შევიწროებული სოფელი ამჟამად აშკარა დაუშორჩილებლობას მიმართავს და უარს აცხადებს ხაზინაში თავისი წილი პურის შეტანაზე, რითაც მთავრობას აიძულებს, გა-

<sup>1</sup> Иваненко, Гражданское управление Закавказьем, 76.

მოიყენოს ეპთეკუციის ზომა, რათა მათ თავიანთი ვალდებულებანი შეასრულებინოს.<sup>1</sup>

იმისათვის, რათა უფრო ხატოვნად და თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი ის სრული განუკითხაობა, ის დანაშაულებრივი ქმედებანი და მექრთამეობა, რომელიც აუტანელ ტვირთად აწვა ქართველობას და სრული გაღატაკებისა და გაკოტრებისაკენ მიჰყავდა იგი, აუცილებელია იმის გახსენება, თუ რას ჩადიოდნენ რუსი მოხელეები ხაზინის თანხებთან მიმართებით, როგორ სარგებლობდნენ გამოსაღებითა და სხვა შემოსავლებით. ამ სფეროში ხომ, ასე თუ ისე, მთავარსარდლისა და საქართველოს მმართველის სახით, რაღაც კონტროლი მაინც ხორციელდებოდა!.. აი, როგორ ახასიათებენ სენატორები, გრაფი ქუთაისოვი და მეჩნიკოვი, რუსი მოხელეების მეურვეობას თავიანთ 1831 წლის ყოვლადუმორჩილეს მოხსენებაში:

„ქართულ სახაზინო ექსპედიციაში (უწყებაში, რედ.) არსებული საშემოსავლო ანგარიში მცდარია, რადგან მასში არ არის წარმოდგენილი არც ერთი მუხლი გამოსაღების თაობაზე, რომელსაც შეიძლებოდა განესაზღვრა მოსაკრებლის ჭეშმარიტი ოდენობა; ზოგიერთი მუხლი უჩვენებს გაცილებით ნაკლებ შემოსავალს ნამდვილ შემოსავალთან შედარებით, ზოგი კი, — მეტს. ზოგიერთი საერთოდ გამოტოვებულია, ან პირიქით, შეტანილია ისეთები, რომლებიც არ არსებობს... ქართულ სახაზინო ექსპედიციას 25 წლის მანძილზე არანაირი კონტროლი არ ჩაუტარებია და ის თანხა, რომელიც საქართველოს შენახვას უნდა მოხმარებოდა, უანგარიშოდ იფლანგებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. სულ დახარჯულია 220. 607. 235 რუბლი

<sup>1</sup> Акты V, 2.

ასიგნაციებით, სახაზინო ექსპედიცია ხშირად ხარჯავს უასიგნაციო სახაზინო თანხებს... და, საერთოდ, დაუდევრობის შედეგად, ხაზინისათვის მიყენებული ზარალი, ჩვენი გამოთვლით, მიღიონ რუბლს უტოლდება... სამხედრო გუბერნატორმა, გენერალმა სიბიაგინმა, არადანიშნულებისამებრ... საკუთარი საჭიროებებისათვის... გახარჯა... გაასესხა... გაურკვეველი მიზნებისათვის გამოიყენა... სახაზინო თანხები... დახარჯა ისეთი არასაკუთარი საჭიროებისათვის, რომელთა კანონიერება უნდა განისაზღვროს სასამართლო წესით და რომლის ფულადი ოდენობა შეადგენს 276. 504 რ. 50 კ.-ს. ამაში შედიოდა 21. 776 რ. 50 კ., რაც წარმოადგენდა საქველმოქმედო დაწესებულებებისათვის სხვადასხვა პირის შემოწირულობას.<sup>1</sup> შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რამდენი ფული წავიდა მოხელეთა ჯიბეებში იმ თანხებიდანაც, რომლებიც დაიხარჯა ასიგნებით; რამდენი ფული უნდა გაედო იძულებით ქართულ მოსახლეობას იმისათვის, რომ დაეცხო საკრებულოებში მომსახურე იმ პერსონალის გაუმაძღრობა, რომელთა მექრთამეობამ საარაკო ნიშნულს მიაღწია, განსაკუთრებით, მთავარმართებლის, — გენერალ ტორმასოვის მმართველობის ხანაში.<sup>2</sup> ეს მმართველიც, ანგარებითი მიზნებით, თავადაც არ ასრულებდა უზენაეს მითითებებს და რა მოლოდინი შეიძლებოდა გქონოდათ იმისა, რომ მისი ხელქვეითნი ნაკლებ გულმოდგინებას გამოიჩენდნენ თავიანთი ანგარებიანი ჩანაფიქრების დაკმაყოფილებისას?! ზემონახსენები სენატორები იტყობინებიან, რომ მან „არ შეასრულა 1808 წელს მიღებული უზენაესი მითითება საქართველოში საშინაო ბაჟის გაუქმების თაობაზე და, სხვათა შორის, სოფლიდან ქალაქში საქონლის გადაზიდვასა და

<sup>1</sup> Акты VIII, 9.

<sup>2</sup> Акты V, 65.

სოფლებიდან საკვების მარაგის გატანაზე ბაჟი დააწესა; ხელუხლებლად დატოვა იჯარა-შესყიდვის პრაქტიკა, რაც გაუსაძლის ტვირთად დააწვა მოსახლეობასა და სასოფლო წარმოებას.<sup>1</sup> მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა. საქართველოში სასამართლოში მაინც რომ ყოფილიყო შესაძლებელი სამართლის ძებნა თავის დასაცავად და შელახული უფლებების აღსადგენად, ან თანამდებობის პირებზე საჩივრის შეტანა... მაგრამ უბედურებაც სწორედ ის იყო, რომ სასამართლო სათამაშოს წარმოადგენდა უმაღლესი ადმინისტრაციის ხელში. სენატორების, — ქუთაისოვისა და მეჩნიკოვის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, საქართველოში მოღვაწე მთავარმართებლები და გუბერნატორები აუქმებდნენ სამართლისა და სასჯელის ექსპედიციის მიერ განსაზღვრულ სასჯელის სახეებს, ხშირად აუქმებდნენ ექსპედიციის გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეებში, კერძო პირების თხოვნით, არჩევდნენ სასამართლოში დაბალი თანამდებობის პირთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ურთავდნენ თავიანთ შენიშვნებს, რომლებსაც გადასცემდნენ სამართლისა და სასჯელის ექსპედიციას და აიძულებდნენ მას, ამ გადაწყვეტილებათა ნაცვლად, გამოეცხადებინათ ახალი, მათთვის სასურველი დაგენილებები: ისინი არღვევდნენ სამოქალაქო საქმეთა რიგითობას და აყოვნებდნენ გადაწყვეტილების მიღებას სათამასუქო საქმეებში. ვინ შეიძლებოდა მინდობოდა ამგვარ სასამართლოს?! განა ბუნებრივი არ იყო, რომ ქართველი „ხალხი, რომელსაც 1801 წლის 12 სექტემბრის მანივესტით მინიჭებული ჰქონდა კანონის ძალით თავის დაცვის უფლება, არ ენდობოდა ამ კანონებს?! ის თავისი თვალით ხედავდა იმის მაგალითებს, რომ კანონებს არ გააჩნდათ დამოუკიდებლად

<sup>1</sup> Акты VIII, 7.

მოქმედების უფლება. მის თვალში მთავარმართებელთა ნებაზე იყო დამოკიდებული მათი გაუქმება, თუ განადგურება. მათ საფუძველზე მიღებული გადაწყვატილებანი ნდობას არ იმსახურებდა. მთავარმართებელთან ერთი საჩივრის შეტანას შეიძლებოდა მათი გაუქმება მოჰყოლოდა!“<sup>1</sup> ამას ისიც ერთვოდა, რომ სასამართლო პროცესები იმართებოდა ხალხისათვის უცხო, რუსულ ენაზე და რუსული კანონმდებლობით ხელმძღვანელობდა. ეს იყო მართლმსაჯულების მასხრად აგდება, ენათა ბაბილონისეული აღრევა. ადგილზე უშედეგო შუამდგომლობათა შემდეგ, ქართლელმა და კახელმა დიდგვაროვნებმა, 1810 წელს გაგზავნეს ყოვლადუმორჩილესი თხოვნა, რომელშიაც ნათქვამი იყო შემდეგი: „თქვენმა საიმპერატორო უდიდებულესობამ უზენაესი მანიუქესტის ძალით ინება ემცნო ჩვენთვის, რომ გარდა ჩვენეული, ჩვეულებრივი და ჩვენთვის ყველასათვის დიდი ხნის ნაცნობი სასამართლოსი და ასევე, ჩვენთვის ყველასთვის ნაცნობი მეფე ვახტანგის კანონთა წიგნისა, სისხლის სამართლის გამოკლებით, სხვა არაფერი იქნება ისეთი, სადაც რუსეთის საქმის მწარმოებლები ასახვენ... თქვენ წინაპარ ხელმწიფე-იმპერატორთა ბრძანებულებებს, რომლებიც ჩვენთვის ნაკლებ ცნობილია მეფე ვახტანგის „ძეგლისდებასთან“ შედარებით. თანაბარძალოვან ბრძანებულებათა ამგვარი აღრევა ჩვენს საკუთარ სამოქალაქო საქმეებში გონიერას გვირევს და უსაშველოდ გვზღუდავს, რის გამოც უმორჩილესად გთხოვთ, რუსული ენის არცოდნის გათვალისწინებით, ნება დაგვრთოთ, საკუთარი შეხედულებისამებრ დავნიშნოთ ჩვენს მიერვე არჩეული მოსამართლეები, რათა, მეფე ვახტანგის კანონის თანახმად, საქმის გარჩევა წლობით არ გაჭიანურდეს და გადაწყვე-

<sup>1</sup> Акты VIII, 7-8; Всеподданнейший доклад сенату гр. Кутаисова и Мечникова.

ტილებანი, ჩვეულებისამებრ, ქართულ ენაზე იქნას გამოტანილი...<sup>1</sup> ქართველები ოდნავადაც არ ენდობოდნენ სამთავრობო მოსამართლებსა და რუსულ კანონებს და სურდათ, ჰყოლოდათ არჩევითი მოსამართლეები, ჰქონოდათ სწრაფად მოქმედი, დამოუკიდებელი, სამართლიანი და ყველასათვის ადვილად მისაწვდომი სასამართლო. როგორი უმარტივესი სურვილი, როგორი ელემენტარული, ბუნებრივი მოთხოვნილებაა! არადა, ის დღემდე არ არის დაკაყოფილებული: ისევ ის გაჭიანურებული სასამართლო პროცესები, ნაფიცი მსაჯულების გარეშე და ქართული მოსახლეობისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე!.. ყველა თხოვნა, ყველა საჩივარი მოხელეთა თავგასულობის, სასამართლოში თავჩენილი ხარვეზებისა და ხალხის კისერზე მძიმე ტვირთად დაწოლილი ბეგარის შესახებ უყურადღებოდ რჩებოდა. ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, საქართველოში არ იყო პურის მოსაგალი და ამ დროს, როდესაც მოსახლეობას თავის გატანაც კი საშინლად უჭირდა, მთავრობა მისგან სურსათ-სანოვაგეს ითხოვდა ჯარის გამოსაკვებად. გლეხთა სახლებში პურის გამოსაძლავად ჩაყენებული მძლავრი სამხედრო ეგზეკუცია უმოწყალო ანგარიშსწორება იყო გლეხთა განცხადებაზე, რომ მოუსავლიანობის გამო, მათ არ ხელეწიფებოდათ სურსათ-სანოვაგით ჯარის მომარაგება. სამხედრო ეგზეკუციას, როგორც წესი, თან სდევდა ყველანაირი უმსგავსობა და უკეთურება.<sup>2</sup> ეს უკვე მეტისმეტი იყო. მოთმინების ფიალა აივსო და 1812 წელს იფეთქა კახეთის აჯანყებამ. მაცხოვრებლებმა მიაშურეს ანანურის ციხე-სიმაგრეს, რათა ამ გზით, ურთიერთობა დაემყარებინათ ქართველ მთიელებთან და ოსებთან, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზის

<sup>1</sup> Акты VIII, 22.

<sup>2</sup> Акты V, 65 და 66.

მიდამოებში ცხოვრობდნენ. ამბოხი გასაოცარი სისწრაფით კრცელდებოდა. იარაღით ხელში, ისინი თავს დაესხნენ რუს ჯარისკაცებს მათ ბინებში და მარკიზ პაულიჩის ყოვლადუმორჩილესი მოხსენების თანახმად, „საშინელი სისასტიკით გაუსწორდნენ მათ, რომლის მსგავს მაგალითებსაც გვაწვდის საფრანგეთის რევოლუცია.“<sup>1</sup> გადიზიანებული მეამბოხენი კახეთში თავს დაესხნენ სურსათ-სანოვაგის განმგებელ გაუმაძღარ მოხელეებს, გვარიანი თანხები წაპგლიჯეს მათ და საიქიოს გზას გაუყენეს, ხოლო პურით მოვაჭრე მაღაზიები გაძარცვეს.<sup>2</sup> ჯანყმა, რომელმაც უეცრად იფეთქა, ნელნელა ორგანიზებული სახე მიიღო: ქართველებმა აგენტები წარგზავნეს საზღვრისპირა მცხოვრებ ხალხებთან მოსალაპარაკებლად. დაიწყო მღელვარება დაღესტანში. მღელვარებამ მოიცვა შირვანის ხანი მუსტაფა, ბორჩალოელი, შამშადილელი და ყაზახელი თათრები. ერთდროული თავდასხმა უნდა მოეწყო სკარსელებსაც, ქართველ ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერთად. საქართველოს ერთი პროვინციიდან, – კახეთიდან ამბოხების ცეცხლი საქართველოს მეორე კუთხეს, – ქართლსაც მოედო. ამის შემხედავმა მთავარსარდალმა ხელმწიფეს უპატაკა, რომ ასეთი ორგანიზებული ამბოხი „უეჭველად მეტყველებდა წინასწარგანზრახულ შეთქმულებაზე, რომლის მიზანიც იყო მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის (B. I. B) სამფლობელოთა მიტაცება – მოყოლებული კავკასიიდან.“<sup>3</sup> მთავარსარდალმა მარკიზმა პაულიჩმა ქართველ ხალხს მიმართა შემდეგი განცხადებით: „რას ჩადით?! რამ დაგიბინდათ გონება?! თუ დაივიწყეთ ქრისტიანული რწმენა და ვერ ხედავთ, რომ უფლის

<sup>1</sup> Акты V, 60.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

მსახურალი ხელი, ფიცის გამტეხებს რომ სჯის, უკვე მზად არის თქვენს გასაგმირად! ვუხმობ ძლევამოსილ ლაშებარს და მე თავად მოვდივარ თქვენთან შესარკინებლად! ჩემი მახვილი მზად არის მეამბოხეთა გასანადგურებლად!“<sup>1</sup> მაგრამ ყალბი მითითებანი ქრისტიანულ რწმენასა და ღვთის მსახურალ ხელზე უკვე არანაირ შთაბეჭდილებას აღარ ახდენდა. მარკიზს უპასუხეს: „ჩვენ გამოუცდელნი ვართ წერილების წერაში და თქვენი ნაწერისა არაფერი გაგვეგება. ჩვენ არ განვდგომივართ ჯვარს და არც ხელმწიფისათვის გვიღალატია! მაგრამ რაც ხელმწიფისაგან გაქვთ ნაბრძანები, არაფერი შეგისრულებიათ! თქვენ საბაბი მოგვეცით, როდესაც ხოცავდით და თოკზე კიდებდით როგორც დამნაშავეებს, ისე უდანაშაულოებს. ამასაც ვითმენდით, რაკი ფიცი გვქონდა მიცემული. ხიშტით აგვაცალეთ უკანასკნელი ლუკმა, ჩვენ კი, ბალახის ძოვას გვთავაზობდით. თქვენი შეწერილობებით, აღარც ხარი შეგვრჩა და აღარც ურემი. ხორბლის ერთ კოდში 1 რუბლსა და 26 კაპიკს გვიხდიდით, ჩვენ კი, ის საერთოდ არ გვქონდა. იმავე რაოდენობის ხორბალში ჩვენ 4 რუბლს ვიხდიდით. თხოვნით მივმართეთ ხელმწიფეს, თქვენ კი, ჩვენი თხოვნა მის ყურამდე არ მიიტანეთ. ჩვენ ერთმანეთს ვერ შევეწყობით. ისედაც მკვდრები ვართ და ბარემ მართლაც დავიხოცებით!“<sup>2</sup> თავდაპირველად, მარკიზი იხტიბარს არ იტეხდა, თუმცა, კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეამბოხეთა საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ აჯანყება მაინც ჩაახშეს იარაღის გამოყენებით. მოგვიანებით ჩატარებულმა გამოძიებამ დაადასტურა ქართველთა საჩივრის აბსოლუტური მართებულობა. სურათი კიდევ უფრო მუქ ფერებშიც კი წარმოჩინდა.

<sup>1</sup> Акты V, 97.

<sup>2</sup> Акты V.

1820 წელს აჯანყებამ დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, იფეთქა. „იმერეთის ყოფილმა მმართველმა, გენერალმა კურნატოვსკიმ, ამ აჯანყების ჩახშობის ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებით, თავისი გონებაშეზღუდულობისა და სულმოკლეობის გამო, ხალხი ამბოხებამდე მიიყვნა.“<sup>1</sup> თუმცა, სინამდვილეში, მთავარ დამნაშავედ გვევლინება პირველი რუსი იერარქი, საქართველოს ეგზარქოსი, თეოფილაქტე. საქმე ისაა, რომ, ტრაქტატის თანახმად, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ უნდა განესაზღვრათ განსაკუთრებული მუხლი, მაგრამ რუსულმა მთავრობამ ეს ზედმეტად მიიჩნია. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ანტონ II კათოლიკოსისათვის 1811 წლამდე ხელი არ უხლიათ, მაგრამ 1811-ში პეტერბურგში გამოიძახეს, ვითომ სინოდის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად. ჯერ კიდევ, სანამ ქართული ეკლესიის მესვეურის პეტერბურგში გამოიძახებდნენ, მთავრობა კათოლიკოსის დაუკითხავად წარმართავდა საქმეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გასაუქმებლად. მლიქვნელ არქიეპისკოპოს ვარლამს შესთავაზეს ქართული ეკლესიის სინოდისათვის დაქვემდებარების პროექტის შემუშავება. არავის უკითხავს აზრი სხვა ქართველი სასულიერო პირებისათვის. 1811 წლის 30 ივნისს გამოცხადდა უზენაესი ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, მყისიერად და მარტივად უქმდებოდა ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალია და წესდებოდა (რუსეთის, რედ.) მმართველი სინოდის ეგზარქატი. მლიქვნელი ვარლამი თავისი ყურმოჭრილი ყმობის სანაცვლოდ დააჯილდოვეს და საქართველოს პირველ ეგზარქოსად დანიშნეს, მაგრამ ხანგრძლივად არც მას ღირსებია ამ წოდებით ტკბობა.

<sup>1</sup> Записки И. Дубецкого (Русская Старина 1895, Апрель, 119)

შვიდი წლის მერე, ის პეტერბურგში დაიბარეს სინოდის სხდომებზე დასასწრებად; იგი ეგზარქატის მმართველობას ჩამოაცილეს და მის ადგილას რიაზანელი არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე დანიშნეს. მას არც ქართულ ენაზე ჰქონდა ოდნავი წარმოდგენა და არც ადგილობრივ ხალხურ და საეკლესიო წეს-ჩვეულებებს იცნობდა; ასე რომ, თავისი მოღვაწეობის დაწყება მხოლოდ საკუთარი მრევლის მშობლიური ქართული ენის დევნით აღნიშნა. 1817 წლის 14 მაისს ის ეგზარქოსად დაინიშნა, ხოლო იმავე წლის 9 ნოემბერს საკათედრო ტაძრის დეკანოზს წერილობითი სახით უბრძანა: „ამას იქით, გარდა კვირადღისა, სადღესასწაულო და განსაკუთხებული საზეიმო დღეებისა, სიონის ტაძარში კვირაში სამჯერ, კერძოდ, სამშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით, რუსულ ენაზე ჩაატარონ ღვთისმსახურება, რუსეთიდან ჩემთან ერთად ჩამოსულმა მღვდელმსახურებმა და საეკლესიო მოღვაწეებმა; დანარჩენ სამ დღეს კი, — ქართულ ენაზე ქართველმა მღვდელმსახურებმა და საეკლესიო მოღვაწეებმა.“ ასე რომ, საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან 16 წლის შემდეგ, ქართველებს წაართვეს შესაძლებლობა, საქართველოს დედაქალაქის საკათედრო ტაძარში მოესმინათ ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე, რომელზეც 1400 წლის მანძილზე უწყვეტად აღევლინებოდა მხურვალე ლოცვანი. არც ცეცხლთაყვანისმცემელ, თუ მუსულმან საარსელებს, არც არაბებს, არც წარმართ მონღოლებს და არც თურქებს არ ჩაუდენიათ ის, რაც ჩაიდინა რუსულმა ხელისუფლებამ და მისმა ეგზარქოსმა საქართველოს ქრისტიანულ, მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით! თუკი ქართული ღვთისმსახურება ნებადართული იყო მხოლოდ სადაც, სამშაბათობში — ორშაბათობით, ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ დღეებში არ ტარდებოდა

საეკლესიო ან საერო დღესასწაული, განა ეს სრულად აკრძალვის ტოლფასი არ იყო?!

როგორ ცინიზმს ამჟღავნებდნენ რუსი ადმინისტრატორები თავიანთ ქმედებებში ქართულ ეკლესიასთან მიმართებით, იქიდანაც ჩანს, თუ რას უპირებდა მთავარმართებელი გენერალი ტორმასოვი საეკლესიო აზნაურებსა და გლეხებს: „ამასთან ერთად, ვაგზავნი ნუსხას, წერდა იგი, რომელსაც დავურთავ ჩემს თვალსაზრისს. საეკლესიო მამულებზე მათი გავლენის შესასუსტებლად, საჭიროა ყველა აზნაურის და ხაზინაში ჩასარიცხი გლეხების ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილიდან გადასახლება და ცარიელ სახაზინო მიწებზე დასახლება.“ აი, რა მიიღეს ქართველებმა ნაცვლად იმპერატორის მიერ დაპირებული მშვიდობისა და ხალხის ინტერესების დაცვისა: საუკუნეების მანძილზე შეჩვეულ-შეთვისებული და მშობლიური სისხლით მორწყელი მიწა-წყლიდან მათ ვიღაც ავანტიურისტების ახირებით, აყრა დაუპირეს!..

საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ, რომელიც ასეთი ჟინით შეუდგა აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწეობას, ასევე „თამამად და მბრძანებლურად მიჰყო ხელი დასავლეთ საქართველოს გარდაქმნას.“ მას ეგონა, რომ იქაც, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც გვარიანად დაესუსტებინა ხშირ აჯანყებებსა და ჯარის მიერ გატარებულ მკაცრ რეპრესიებს, წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა, მაგრამ ანგარიში შეეშალა. იმერეთის (საეკლესიო, რედ.) იერარქიაში იგი შეეჯახა თავდაჯერებულ, მტკიცე მოწინააღმდეგებს. პოლიტიკანობით გატაცებული იერარქი, რასაკვირველია, უხეშობასა და ძალმომრეობაზე უკათესს ვერაფერს მოიფიქრებდა: „გადაწყდა, რუსეთში ეკრათ თავი ორი მთავარი, წარჩინებული მიტროპოლიტისათვის; ესენი იყვნენ გელათისა და

ქუთაისის მიტროპოლიტები. თვითმხილველ კაპიტან დუბეცის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, დატუსაღებისას, მათ არადელიკატურად მოეპყრნენ, რადგან ერთ-ერთი მათგანის წინააღმდეგობას რომ წაწყდნენ, საქმეში კონდახები და ხიშტები ჩართეს; ისე რომ, დიდებული მოძღვარი, ნაცემი და დასისხლიანებული, გაკოჭეს და ცხენზე იძულებით დასვეს.<sup>1</sup> ამან აღმფოთების აფეთქება გამოიწვია მოსახლეობაში. 1819 წელს რიონის ნაპირზე „საგანგებო კრება გამართეს თავად-აზნაურებმა, სასულიერო პირებმა და ხალხის წარმომადგენელმა რამდენიმე ათასმა კაცმა. ამ შეკრებაზე გადაწყდა ყველა რუსის გაწყვეტა და საკუთარი მეფის არჩევა. ეს გადაწყვეტილება ფურცელზეა გადატანილი, უფროსების ხელმოწერითა და ბეჭდებით დადასტურებული; ფიცი კი, — საზეიმო დაფიცებით, ჯვარსა და სახარებაზე. ამის შემდეგ, აირჩიეს ჯარის თავკაცები.<sup>2</sup> დაიწყო ამბოხი. ეგზარქოსი, რომელიც შეუდგა საეკლესიო ადგილ-მამულების აღწერას, იძულებული შეიქნა ეს აღწერა შეეწყვიტა და ხალხის მოთხოვნით, სასწრაფოდ, აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნებულიყო. ამბოხებულებმა, ერთობ ოსტატურად წარმართეს თავიანთი საქმიანობა. თავდაპირველად, მთავრობის მოხელეებმა ვერა და ვერ დაადგინეს, სად იყო ამბოხებულთა შტაბი, სანამ ვიღაცამ სიკვდილის წინ არ გაამზილა საიდუმლო. ამის შემდეგ, რუსების რაზმი მოულოდნელად თავს დაესხა მთელ საორგანიზაციო კომიტეტს თავისი ხელმძღვანელებითურთ და ყველანი დაატყვევა. აჯანყება იარაღის გამოყენებით ჩაახშეს. „ექვს-შვიდ თვეში კვლავ მშვიდობამ დაისადგურა. ათიოდე კაცი ჩამოახრჩვეს, ზოგიერთი ხიშტების დაკვრას შეეწირა, დანარჩენები კი, რუსეთის გზას გაუყე-

<sup>1</sup> Записки И. Дубецкого (Русская Старина 1895, Апрель, 121)

<sup>2</sup> იქვ, 122-3.

ნეს.<sup>1</sup> ბევრ თავადსა და აზნაურს მამულები ჩამოართვეს, რომელთა ნაწილი იმ პირებს დაურიგეს, „რომლებმაც დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს და რუსეთის მთავრობისადმი ერთგულება შეინარჩუნეს, ნაწილს კი, კონფისკაცია უყვეს და ხაზინას გადასცეს.“<sup>2</sup>

რა თქმა უნდა, ყოველგვარი ძლევარება ძალაუნებურად აიძულებდა საქართველოში რუსული ხელისუფლების წარმომადგენლებს, დაფიქრებულიყვნენ გამოაშკარავებული დანაშაულებებისა და ხარვეზების აღმოფხვრაზე, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა. საქმეს სიღრმისეულად არავინ ეკიდებოდა და, ამას გარდა, ზოგადი მიმართულება ისეთ მცდარ და არასწორ გზას დასდგომოდა, რომ ბიუროკრატიული სენისაგან განკურნების გულწრფელ და კეთილსურვილებსაც არ შეძლოთ სასურველი შედეგების მოტანა. უპირატესად, გარეგნული კეთილდღეობა და წესრიგი მყარდებოდა. თვით მთავარსარდალი, გრაფი პასკევიჩი 1829 წელს დაწერილ თავის ყოვლადუმორჩილეს პატაკში იძულებული იყო ელიარებინა შემდეგი: „სამწუხაროდ, მალე შევამჩნიე, რომ გარეგნული კეთილდღეობის მიღმა იმალებოდა უწესრიგობა და დიდი ხნის წინ ფესვგადგმული, საკმაოდ მნიშვნელოვანი დანაშაულებანი... მოუწესრიგებლობის უმთავრესი მიზეზია მეტისმეტი მრავალფეროვნება მმართველობის ფორმებში. საკუთრივ საქართველო, რომელიც ექვსი მაზრისაგან შედგება, შეიძლება ასეთი წარმონაქმნის ნიმუშად მივიჩნიოთ. ერთ მაზრაში დანერგილია რუსეთის სამართალწარმოების ფორმები, დანარჩენებში კი, აღმასრულებელი ხელისუფლება შერწყმულია სასამართლო ხელისუფლებასთან. საქმის წარმოებისას, ყველგან ხდება რუსული და ქართული (სამართალწარმოების, რედ.) აღ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>2</sup> Иваненко, Гражданское управление Закавказьем, 128.

რევა.“<sup>1</sup> როგორი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ ბაბი-ლონის გოდოლის ხალხთა აღრევას ქართველებზე, რო-მელთაც, რუსული ენის არცოდნის გამო, არ ჰქონდათ შესაძლებლობა შეესწავლათ რუსული დაწესებულებანი და კანონები და გარკვეულიყვნენ ამ საკითხებში! და რას აკეთებდა თავად პასკევიჩი იმისათვის, რომ აღმოეფხვრა მმართველობის ამ სისტემის ნაკლოვანებანი?! იგი სისტემა-ტურად დევნიდა არჩევით, საერო ქართულ ელემენტს ყველა დაწესებულებიდან და მათ რუსი მოხელეებით ანაც-ვლებდა. ქართული არჩევითი ელემენტები მიჩნეულ იქნა „სრულიად უსარგებლოდ რუსული ენის არცოდნისა და საქმეში გამოუცდელობის გამო“, თითქოს რუს ჩინოვნიკ-თაგან ქართულის, — მოსახლეობის მშობლიური ენის, არცოდნას შეიძლებოდა ქვეყნისა და ხალხისათვის რაიმე სარგებლობა მოეტანა; თითქოს, მთელი ქართული მოსახ-ლეობა მხოლოდ იმისთვის მოვლინებულიყო ამქვეყნად, რომ რუსული ენის ათვისებით ყოფილიყო დაკავებული!.. კიდევ რა უჭირდა, საქართველოში დანიშნულ რუს მოხე-ლებს მინიმალური ხარისხით მაინც რომ დაექმაყო-ფილებინათ (მათთვის წაყენებული) მოთხოვნილებანი, ოდ-ნავ მაინც რომ ჰყვარებოდათ საქმე, ან პატივი ეცათ იდე-ისთვის! თავად სენატორები, გრაფი ქუთაისოვი და მეჩნი-კოვი ასე აფასებდნენ რუს მოხელეებსა და მათ მოღვაწე-ობას საქართველოში: „ამიერკავკასიის შეარის არც ერთ დაწესებულებაში, საქმის წარმოების ფორმებსა და წეს-ჩვეულებებში ნასახიც არ არის კანონით დადგენილი წეს-რიგისა. გაუხსნელ საქმეთა ოდენობა უსაზომოა და ეს საქმეები იმიტომ კი არ დაგროვდა, რომ ბევრი შემოვიდა ერთად, არამედ იმიტომ, რომ არ ყოფილა მცდელობა მათი

---

<sup>1</sup> Акты VII, 18.

დროულად გადაჭრისა. რუსეთიდან ამიერკავკასიაში ჩამოსული მოხელეები, რომლებიც ითვალისწინებენ მათთვის ამ ადგილებში მსახურებისათვის დაწესებულ წლიურ და სამწლიან ვადას, დაწესებულს მათთვის, წინდაწინვე მიღებული ჩინებისათვის, საქმით მუდმივად დაკავაებული არ არიან, გაუთავებლად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან, ჩინს ინარჩუნებენ და რუსეთში ბრუნდებიან.<sup>1</sup> თვით ჩინოვჩინოვ-ნიკობის ბურჯი, „აღმასრულებელი ექსპედიცია“, ნაცვლად იმისა, რომ თვალი ადევნოს კანონის აღსრულებას, იმავე სენატორების მოწმობით, თავადვე არღვევს კანონს. იგი, გამოუძიებლად და სასამართლოს დადგენილების გარეშე, კერძო პირებს უძრავ ქონებას ართმევდა და სხვებს გადასცემდა; ხოლო თავმჯდომარე, სამოქალაქო გუბერნა-ტორი ზავილეისკი, თვითნებურად, ერთპიროვნულად იღებ-და გადაწყვეტილებას იმ საქმეების მიმართ, რომლებიც შედიოდა საზოგადოებრივი მზრუნველობის იქაურ უწყებაში და მოსამსახურებს აიძულებდა იმ ადგილ-მამულების ზედმეტად შეფასებას, რომლებიც უწყებას უკვე მიეღო გირაოდ.<sup>2</sup> უმაღლესი თანამდებობის პირთა ამგვარი განუ-კითხავი ქმედებებისას, შესაძლებელია თუ არა იმ წვრილ-ფეხა მოხელეების თვითნებობისა და დანაშაულებრივი ქმედებების საზღვრების წარმოდგენა, რომელთა მკვეთრი დახასიათება სულ ახლახან წარმოგიდგინეთ?! მოხელეები ძარცვავდნენ მოსახლეობას, თვით საქართველოს მმართველები იძულებულნი შეიქნენ, ეღიარებინათ ეს ფაქტი. სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი თავის 1830 წლის ანგარიშში გრაფ პასკევიჩს უდასტურებს, რომ „ორმაგი გამოსაღების გამოძალვის შემთხვევები, ალბათ, ბევრგან იჩენს თავს,

<sup>1</sup> Акты VIII, 5.

<sup>2</sup> იქვე.

მაგრამ ანგარიშვალდებულების არარსებობის გამო, ამის დადგენა შეუძლებელია. ეს თვალსაჩინოა მხო-ლოდ მთიელებთან დაკავშირებით, რომლებსაც დისტანციის მმართველმა კანანოვმა გამოსაღები გამოსძალა და ხაზინას არ წარმოუდგინა, ხოლო თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შემდგომ კი, მთავრობამ, რომელმაც გამოსაღები მიუღებლად მიიჩნია, კვლავ მოითხოვა იგი.“<sup>1</sup> ასეთი იყო საქართველოში რუსეთის მთავრობის „სოლომონისეული“ სასამართლო. მათ იცოდნენ, რომ მოსახლეობისაგან გადა-სახადი აკრებილი იყო, მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ თანხა თავიზნთი ქურდბაცაცა მოხელეებისაგან ამოელოთ, ისევ ხალს სძალავდნენ მას.

მთავარმართებელი, რომელსაც არაფერი გაეგებოდა ადგილობრივი ცხოვრების პირობებისა, (უადგილო) საქმეში ჩარევითა და რეგლამენტირებით, ხშირად სრულიად ზღუ-დავდა საზოგადოებრივ და ეკონომიკურ საქმინობას. მაგა-ლითად, ერთი ოფიციალური დოკუმენტი იტყობინება, რომ „კერძო პირების მიერ ადგილ-მამულების ყიდვა-გაყიდვა და დაგირავება უკიდურესობამდეა შეზღუდული. საქართველოს მთავარმართებელმა, გენერალმა ერმოლოვმა, ამ საკითხთან დაკავშირებული კანონების სრული დარღვევით, „სამარ-თლისა და სასჯელის ექსპედიციას“ უბრძანა, სანამ გასა-ყიდი და დასაგირავებელი ადგილ-მამულის კუთვნილების თაობაზე გამოძიება არ ჩატარდებოდა და ეს ამბავი საქარ-თველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს არ ეცნობებოდა, გა-ყიდვისა და გირაოს საკითხებთან მიმართებით, ნასყიდობის აქტი არ შეედგინა. მსგავსი ოპერაციები ხშირად ლამის 10 წელიწადს გრძელდებოდა; მყიდველები და გამყიდველები იხოცებოდნენ, ანდა, აქტების შედეგის ნაცვლად, წარმოი-

<sup>1</sup> Акты VII, 33.

შობოდა სადავო საქმეები.<sup>1</sup> თავის მხრივ, უზენაესი ხელი-სუფლების წარმომადგელებიც, საქართველოში რევიზიი-სათვის რომ ჩამოდიოდნენ და ადგილობრივ პირობებსა და თავისებურებებს სრულებით არ იცნობდნენ, კიდევ უფრო მეტ არევ-დარევას იწვევდნენ და საქმეს უკუდურესად არ-თულებდნენ. ასე მაგალითად, სენატორმა მეჩინიკოვმა, ტფილისში ყოფნისას, აზნაურ გაბაევის (გაბაშვილის, რედ.) საჩივრის საფუძველზე, შეიტყო ყალბი სამეფო სიგელების შედგენის შესახებ, რომლებიც ადასტურებდნენ ნაწყალობევ დოკუმენტაციას და თავადაზნაურთა წარმო-მავლობას. სენატორს ბევრი არ უფიქრია და ოუსტიციის მინისტრსა და გენერალ ბეკნდორფს (შინაგან საქმეთა მინისტრი, რედ.) წარუდგინა მოხსენება, რათა მათ უმაღ-ლესად განსახილველად გაუგზავნათ მისი მოხსენება იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო: 1) „როგორც სადავო, ისე თავადაზნაურთა ღირსების დამადასტურებელი საქმეების წარმოების შეჩერება ყველა დაწესებულებაში, დაწყებული უმდაბლესიდან, დამთავრებული მმართველი სენატით; 2) განსაზღვრული ვადისთვის ყველა ქართული სიგელისა და დოკუმენტის გამოთხოვა, რომლებიც თავადაზნაურთა ღირ-სებასა და ქონების ფლობას შეეხებოდა და ყალბი დოკუ-მენტების ამოღება; 3) იმის დადგენა, ვინ რა ქონების პატრონი იყო და ვინ რა წოდებას ატარებდა 1801 წლის მანიფესტამდე; ამასთანავე, მართებულად მხოლოდ ის სარ-ჩელები მიიჩნეოდა, რომლებიც მეფე გიორგის (გიორგი XIII, რედ.) გარდაცვალებამდე აღიძრა. და (მაშინ) ვინც რა ქონების პატრონი იყო და რა წოდებას ატარებდა, ისვე ეტარებინა! 4) ეს საქმე, ისევე როგორც უკვე გამჟღავ-ნებულ დანაშაულებათა გამოძიება, მინდობოდა არა ადგი-

<sup>1</sup> Акты VII, №54.

ლობრივ მოხელეებს, რადგან ისინი სხვა საქმეებით იყვნენ დაკავებული და მიუკერძოებლად ვერაფერს გადაწყვეტ-ლნენ, არამედ განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შედგებოდა იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების მოხელეებისაგან და სენატის მდივნები-საგან.“<sup>1</sup> და ეს აბსურდულზე აბსურდული პროექტი გრაფ-მა პასკევიჩმა „სავსებით მართებულად და სასარგებლოდ“ მიიჩნია, 1830 წლის 29 ნოემბერს კი, უზენაესი დასტური მიიღო. სადავო საქმეების წარმოება შვიდი წლის მანძილზე იყო შეწყვეტილი, ხოლო აზნაურის წოდების მაძიებელთა საქმეები 1844 წლამდე არ გარჩეულა; შეიქმნა აუტანელი, გაუგებარი სიტუაცია! კომისიას უნდა გადაეხედა და ექ-სპერტიზა ჩაეტარებინა 1000-ზე მეტი დოკუმენტისათვის. ლაპარაკია იმ კომისიაზე, რომლის წევრებმაც ქართული, ანუ ამ დოკუმეტების, ენა სრულებით არ იცოდნენ. მართლაც, უაზრო წამოწყების უაზრო განხორციელებაა! „კომისიას რამდენიმე ათასი დოკუმენტის განსახილველად, მრავალი წლის მუშაობა მოუწევსო,“ სავსებით სამართლი-ანად წერდა ბარონი როზენი. „სადავოდ მიიჩნიეს, ზოგა-დად, ყველა აქტი; ამგვარად, არც ერთ მათგანს, არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, სანამ მათი ნამდვილობა არ დამტკიცდებოდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, თავად-აზნაურთა შვილებს არ იღებდნენ სამსახურში იმ უფლებე-ბით, რომლებიც მათ წოდებას ჰქონდა მინიჭებული. არც ერთ მფლობელს არ შეუძლია თავისი ადგილ-მამულის გაყიდვა, დაგირავება, თუ მზითვად გადაცემა მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო სობამ ჩაიფიქრა ყველა აქტის თავიდან გადასედვა იმის დასადგენად, არის თუ არა მათ შორის ყალბი აქტები.“<sup>2</sup> გავიხსენოთ, რისთვის გააკეთა ეს ყველა-

<sup>1</sup> Акты VIII, 6.

<sup>2</sup> Акты VIII, №5.

ფერი მთავრობამ: შვიდწლიანი მუშაობის შემდეგ, სულ მხოლოდ 14 გაყალბებული საბუთი აღმოჩნდა. სავსებით გასაგება, რომ მთელი ეს წამოწყება საყოველთაო აღშფოთებისა და უკმაყოფილების მეტს არაფერს მოიტანდა. მთავარმართებელი ბარონი როზენი პეტერბურგში იწერებოდა: „აქაურ თავადაზნაურთა წრეში შეიმჩნევა გარკვეული გულგატებილობა, რომელიც უკმაყოფილებას უახლოვდება.“ მართლაც, იმხანად საქართველოს თავადაზნაურობაში ამბოხი მზადდებოდა. პოლონეთის აჯანყებით შთაგონებულმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ქართული საზოგადოების უმაღლეს ფენებს მიეკუთვნებოდნენ და პეტერბურგში ცხოვრობდნენ, ბატონიშვილ იულონის ვაჟის, 30 წლის დიმიტრის მესვეურობით, თანამემამულებს „მათი მხაგრელი ხელისუფლების“ წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოწოდებით მიმართეს. გადაწყდა, რომ 1832 წლის დეკემბერში ესარგებლათ თავადაზნაურთა ყრილობით, გაემართათ დიდგვაროვანთა მეჯლისი, მოეწვიათ ყველა რუსი მოხელე და დადგენილი ნიშნის ამოქმედებისთანავე, ყველანი დაეხოცათ; არ უნდა დაენდოთ ის ქართველებიც, რომლებიც მოხელეებს დაუჭერდნენ მხარს. ასე უნდა დაწყებულიყო ამბოხი. ზარის დარეკვა ყველა ქართველს საქართველოს გასათავისუფლებელი ბრძოლისაკენ მოუხმობდა. თუმცა, უკლებლივ ყველა მოხელის განადგურების სისასტიკემ, ზოგიერთი მონაწილე შეთქმულებას ჩამოაშორა. გარდა ამისა, შეთქმულთა შორის აღმოჩნდა ქართველი გუბერნატორის ძმა, ვინმე იასე ფალავანდოვი (ფალავანდიშვილი, რედ.), რომელმაც ყველა თანამონაწილე გასცა. ისინი საქართველოდან გაასახლეს. ახლა, როდესაც ხელთ გვაქს დოკუმენტები, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ი. ფალავანდოვს რომც არ ეღალატა, შეთქმულებას არანაირი წარმატება არ ექნებოდა და არა

იმიტომ, რომ ქართული საზოგადოება არც თუ მაინცდა-  
მაინც დიდ უქმაყოფილებასა და გაბოროტებას ამჟღავ-  
ნებდა რუსეთის მთავრობის მიერ დაწესებული რეჟიმის  
მიმართ, არამედ იმიტომ, რომ სწორედ იმხანად, ქართულ  
გლეხობაში დიდი მღელვარება დაწყებულიყო და იგი  
მხარს არ დაუჭერდა დიდგვაროვანთა წოდებას. საქმე ისაა,  
რომ სწორედ იმ წლებში, როდესაც მზადდებოდა შეთქმუ-  
ლება რუსთა ბატონობის გადასაგდებად, ქართველ გლეხო-  
ბაში კვლავ დაიწყო მძლავრი მოძრაობა ბატონყმობისაგან  
გათავისუფლების მხარდასაჭერად. მასალა ჯერ კიდევ არ  
არის სათანადოდ დამუშავებული იმისათვის თვალის მისა-  
დევნებლად, თუ როგორ მძლავრად იკიდებდა ფეხს და  
თანდათანობით იკრებდა ძალას ეს მოძრაობა. გენერალ-  
ადიუტანტ სტრეკალოვისათვის, 1829 წელს წარდგენილ  
ანგარიშში ზავილეისკი აღნიშნავს ყმა გლეხების მძიმე  
მდგომარეობასა და მემამულეთა მხრიდან მათ ჩაგვრას.  
მისი სიტყვებით, „ამიტომაც, გლეხები, მართლაც არათუ  
კეთილგანწყობილნი არ არიან თავიანთი მემემულეების მი-  
მართ, არამედ ხშირად საერთოდ უარს ამბობენ მათ მორჩი-  
ლებაზე, განსაკუთებით, შეძლებული გლეხები. მემამულეები  
კი, რომლებიც ზოგჯერ ვერ ახერხებენ თავიანთ ერთობ  
მდიდარ გლეხებთან სასურველი ურთიერთობის დამყარებას,  
გამოსაღების, ბეგარისა და ხშირად თავიანთი ახირებების  
მთელ სიმბიმეს ღატაკ გლეხობას აკისრებენ... მაგრამ გან-  
საკუთრებულ შევიწროვებასა და სიღუბჭირეს განიცდიან...  
გლეხები, რომლებიც თავიანთი მემამულეებისაგან თავისუფ-  
ლების მოპოვებას ელტვიან, მიუხედავად მთავრობის გან-  
კარგულებისა იმის თაობაზე, რომ ამ ხალხმა, გადაწყვე-  
ტილების გამოტანამდე, თავის მემამულეებს მხოლოდ ის

ბეგარა უნდა უხადონ, რომელსაც სარჩელის წარდგენამდე უხდიდნენ.<sup>1</sup> გლეხები მასიურად ცდილობდნენ ბატონ-ყმური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას. „დაწესებულებები ამჟამად“, — ამბობს ბარონი როზენი,... „გადავსებულია თავისუფლების მაძიებელთა საქმეებით, რომლებიც თავიანთი ოდენობით, ბუნდოვანებითა და გაჭიანურებული სამართალწარმოებით, მეტისმეტად მძიმე ტვირთად აწვება მავანთა და მავანთ და თუ მსგავსი სახის სარჩელებს არ დავაბრკოლებთ, რაც მეტი დრო გავა, მით მეტად გამრავლდებიან.“<sup>2</sup> ქართველი გლეხობის ამ გამათავისუფლებელ მოძრაობაში რუსი მოხელეები გლეხობის შხარს იჭერდნენ. გლეხობას განსაკუთრებულ მფარველობას უწევდნენ სა-სამართლოს მოხელეები; ისინი არიგებდნენ მათ, როგორ მოქცეულიყვნენ.<sup>3</sup> ჩვენთვის უცნობია ამგვარი მფარველობის გამომწვევი მიზეზები, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, სრულიად ნათელია, რომ ქართველი გლეხობა, რომელიც ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გამათავისუფლებელ ბრძოლაში რუსი მოხელეების მხრიდან გვარიან შხარდაჭრას გრძნობდა, თავის მომხრეებს ვერ შეებრძოლებოდა და მონაწილეობას ვერ მიიღებდა წამოწყებულ ამბოხში იმ თავადაზნაურობასთან ერთად, რომელთაგანაც გათავისუფლებას ელტვოდა. იმ ვითარებაში, გლეხთა ინტერესები, მიუხედავად რუსული რეჟიმის, მათთვისაც მთელი სიმძიმისა, ვერ დაუპირისპირდებოდა რუსი მოხელეებს, რადგან გლეხობა ჯერ კიდევ ეჭიდებოდა ყმობისაგან მოსალოდნელი გათავისუფლების საქმეში მათი მხრიდან დახმარების იმედს. აი, ქართველ დიდებულებს, შეთქმულების ორგანიზატორებს რომ გაეცნობიერებინათ ქართველ გლეხთა

<sup>1</sup> Акты VII, 26.

<sup>2</sup> Акты VIII, 54.

<sup>3</sup> Акты VIII, 54.

მოძრაობის მთელი სერიოზულობა და ნაბიჯი გადაედგათ მათკენ, მათ ჩანაფიქრს, შესაძლოა, უფრო მყარი ნიადაგი მოეპოვებინა; მაგრამ სწორედ ეს არ მოხდა. შეთქმულების ნაადრევად გამოაშეარავების გარეშეც, საქმე წარუმატებლობისათვის იყო განწირული.

გლეხთა გამათავისუფლებელი მოძრაობა გრანდიოზულ მასშტაბებს იღებდა. იგი არც უზენაეს ხელისუფლებას გამოჰქონდა მხედველობიდან, მაგრამ რაკი არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა საქართველოში ბატონიშვილის ხასიათსა და ბუნებაზე, ყველა ადმინისტრატორი, თუ საქართველოში წარგზავნილი სენატორი საკითხის გადაჭრას თავის ჭკუაზე ცდილობდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სენატორებს, ქუთაისოვსა და მეჩხიკოვს. ისინი გააოგნა ქართველი ყმა გლეხობისათვის დაწესებული ბეგარის მრავალფეროვნებამ და ოდენობამ. მათ გაიხსენეს, რომ ქართველი თავადაზნაურობის უფლებები უტოლდებოდა რუსებისას და გადაწყვიტეს: „თანდათანობით გაუქმდეს ამჟამად მოქმედი ბეგარა და არა უგვიანეს სამი წლისა, შეიცვალოს რუსეთში მოქმედი ბეგარით; ქართველ მემამულებს დაუყოვნებლივ მიეცეთ თავიანთი გლეხების ჯარში გაგზავნისა და ციმბირში გადასახლების ნება.“<sup>1</sup> აი, მთელი სიბრძნე!..

მოქმედი ბეგარა სამ წელიწადში შეიცვალოს ბეგარის ახალი სახეობებით და მემამულებს მიეცეთ გადასახლების უფლება: უცნაური ლოგიკაა, აზრთა ორიგინალური მსვლელობა! როგორ უთავსებდნენ ბატონი სენატორები ქართველი ყმა გლეხების ჩვეულებრივი ბეგარის შეცვლის აუცილებლობას, რაც თითქოს, ალტრუისტული განწყობით იყო ნაკარნახევი, ქართველი მემემულებისათვის ქართველი გლეხების გაციმბირების გადაწყვეტილებას? ამას მარტო

<sup>1</sup> Акты VIII, №8.

ერთი ახსნა მოეძებნება – სენატორები, როგორც ჩანს, მხოლოდ ფორმალიზმით ხელმძღვანელობდნენ: მათ სურდათ, საქართველო ხელახლა, ერთ თარგზე გამოეჭრათ ზოგადრუსული ნიმუშის მიხედვით, ოღონდ კი, გარეგნული ერთფეროვნება და მოხელეთა პატივისცემა ყოფილიყო დაცული! მთავარმართებელმა, ბარონმა როზენმა მთავრობას მიუთითა, რომ „შეუძლებელია არა თუ სამ წელიწადში, არამედ როდისმე მაინც შეიცვალოს გლეხთა ადგილობრივი ბეგარა რუსული წეს-ჩვეულებებით, მაშინ, როდესაც მხარეები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან კლიმატით, მიწის წარმოებისა და მემამულეთა და გლეხთა ცხოვრების წესით; ამ დროს კი, თვით რუსეთშიაც, ამ საკითხთან დაკავშირებით, მკაცრი წესი არ არის დადგენილი.“<sup>1</sup> მან განუმარტა მთავრობას, რომ ბეგარა, რომელსაც გლეხები მემემულეებს უხდიდნენ, თუმც მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ქართველი გლეხების მდგომარეობა არაფრით იყო რუსეთის გლეხობის მდგომარეობაზე უარესი და რომ, საერთოდ, ქართველ მემამულეთა შემოსავალი საკმაოდ მწირი იყო. ბარონი როზენის მოსაზრებები დამაჯერებელი აღმოჩნდა ხელისუფლებისათვის; მაგრამ, ვაი რომ, ეს გლეხური მოძრაობა სავალალოდ დასრულდა! საბრალო ქართველ გლეხებს, ნაცვლად ნანატრი თავისუფლებისა, მოულოდნელად თავს უბედურება დაატყდათ: სენატორთა პროექტიდან ხელისუფლებამ მხოლოდ ბოლო შემოთავაზება დატოვა და ქართველ მემამულეებს, ისევე როგორც რუს დიდგვაროვნებს, მიენიჭათ თავიანთი გლეხების ახალწვეულებად ჩაბარებისა და გადასახლების უფლება. რუსეთის მთავრობის გამთანასწორებელი ტენდენციების წყალობით, ასე სამწუხაროდ დასრულდა ქართვე

<sup>1</sup> Акты VIII, №11.

ლი გლეხობის გამათავისუფლებელი მოძრაობა!.. ასე რომ, გლეხების იმედები მთავრობის სიკეთის მიმართ, გაცრუვდა: მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. თავადი ჩერნიშოვის 1842 წლის წერილობითი განკარგულების თანახმად, ადგილობრივ ადმინისტრაციას უვალებოდა, მემამულეთა უცილობელ მორჩილებაში პყოლოდა ქართველი გლეხები და ყველას, ვინც შეეცდებოდა, ყურად არ ეღო მთავრობის ეს განკარგულება, სამხედრო ეგზეკუციებით მიანიშნეს, როგორი სისასტიკით გაუსწორდებოდნენ ურჩებს. ამას იქნეთ, ქართველი გლეხის ბედი ადმინისტრაციის ხელში იყო.

30-იანი წლების დასაწყისიდან, უმაღლეს ადმინისტრაციულ სფეროებში გამალებით ამუშავებდნენ საქართველოს რეორგანიზაციის საკითხს ადმინისტრაციული და სამართლებრივი კუთხით. მთავარმართებელთა უმეტესობა ამ საკითხს ძალზე მარტივად წყვეტდა: საქმარისი იყო საქართველოში ზოგადიმპერიული კანონებისა და დაწესებულებათა შემოტანა და იმ წამიდან ყველაფერი მწყობრში ჩადგებოდა. ბარონი როზენის გამოკლებით, არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებდა, შეესაბამებოდა თუ არა რუსული კანონმდებლობა ქართველთა ცხოვრების წესს. ამ საკითხმა რამდენიმე საინტერესო ფაზა გაიარა, სანამ 1840 წელს გაქნილი სენატორის, განის, თვალსაზრისმა არ გაიმარჯვა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში სასწრაფოდ და სრულად დაეწერგათ ყველა რუსული წესი და კონონი. ერთი წლის მანძილზე სრული რეორგანიზაცია განხორციელდა: გაიხსნა ყველა ადმინისტრაციული დაწესებულება, დაინიშნენ სენატორ განის მიერ შერჩეული მოხელეები, ადგილობრივები კი, უკლებლივ ყველა, გათავისუფლდნენ თანამდებობებიდან. გაუქმდა ყველა ქართული კანონი, წყლის მოხმარების უფლებასთან

დაკავშირებული, ორი მუხლის გამოკლებით. და ბოლოს, ნებადართული იყო გადასახად-ვალდებული წოდების ყველა პირის, მათ შორის, მუსულმანი ქალების გაროზგვა. მაამე-ბელი სენატორი მაღალფარდოვანი, მლიქვნელური სტილით მოახსენებდა ხოლმე ხელმწიფეს განხორციელებული გარდაქმნების შესახებ: „ეს უკვე დასრულებული შენობაა, რომლის ჭერქვეშ უნდა განვითარდეს ხალხის მძლავრი გონიერივი და ზნეობრივი ძალები, დოვლათი და განათლება, რომელიც არ იქნება დასწებოვნებული ჩვენი საუკუნის იდეების უწმინდეური მინარევით, — ნაგებობა, რომელსაც სული შთაბერა თქვენი იმპერატორული უდიდებულესობის ნებამ და გენიამ... ვტოვებ ამ მხარეს სრულ სიწყნარესა და სიმშვიდეში; მოხელეები თავგამოდებით, მუყაითად მუშაობენ: დანაშაულის რაოდენობა საგრძნობლად მცირდება; ბეგარასა და გამოსაღებს იხდიან და ბედნიერი ვარ, რაკი შემიძლია დაგარწმუნო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა, რომ ახლებური მოწყობა სავსებით ესადაგება ხალხის მოთხოვნებს.“<sup>1</sup> მოკლედ, სენატორი განის წყალობით, საქართველო ბედნიერ არკადიად (წალკოტად, რედ.) იქცა! მაგრამ რა შორს იყო ეს ყველაფერი ჭეშმარიტებისაგან! წელიწადიც არ გასულიყო, რომ სენატორის ტვინის ჭყლეტის შედეგებმა ბიძგი მისცა საყოველთაო უკმაყოფილებას; ერთნაირად ჩიოდნენ მოხელეებიცა და ხალხიც. ეს იყო კანცელარიზმისა და ფორმალიზმის სამეფო. აშკარა დამნაშავეს შეეძლო სასამართლოდან გამართლებული გამოსულიყო და გამოდიოდა კიდეც ფორმალური, კანონით წინასწარ დადგენილი მტკიცებულებების არარსებობის გამო. გამართლებულებს, ბრძანების თანახმად, ციხეებში ამყოფებდნენ.<sup>2</sup> როჩენი წერდა:

<sup>1</sup> Акты IX, №33.

<sup>2</sup> Иваненко, Гражданское управление Закавказьем, (с.) 298..

„მთელი მმართველობა მდგომარეობს მარტო წერილობით საქმის წარმოებაში, უშუალოდ საქმიანობას კი, არავინ ეწევა. უმაღლესი ინსტანციებიდან დაწყებული და უდაბლესი საპოლიციო ადგილებით დამთავრებული, ყველანი მხოლოდ წერენ და ერთმანეთს უგზავნიან ფორმალურ ქაღალდებს.“<sup>1</sup> ამ სახელგანთქმული რეფორმის წყალობით, გურიაში აჯანყებამ იფეთქა, ოსეთსა და ბელაქანში მღელვარება დაიწყო, ყველგან ყაჩაღთა ბანდები დაპარაშებდნენ. რაღაც, წარმოუდგენელი ხდებოდა. მთავრობა თვითონვე იძულებული შეიქნა, დაუყოვნებლივ შეეჩერებინა სენატორ განის რეფორმატორული წამოწყებანი. და განა შეიძლებოდა, შეენარჩუნებინათ რეფორმა, რომლის თანახმადაც, პუბლიკაციები მოჰასუხის სოფლიდან გამოძახების შესახებ, უნდა დაბეჭდილიყო გაზეთებში „საქ-პეტერბურგსკიე“ და „მოსკოვსკიე ვედომოსტი“?! ეს ხომ, ნაღდი კარიკატურა იყო! მხოლოდ 1845 წელს, თავად ვორონცოვის კავკასიის მეფისნაცვლად დანიშვნის შემდეგ, მხარის მმართველობის რეორგანიზაციის მსგავსი მცდელობანი უმაღლეს სფერო-ებშიც ვეღარ პოულობდა მხარდამჭერებს.

1856 წელს იფეთქა საქვეყნოდ ცნობილმა გლეხთა აჯანყებამ ჯერ კიდევ ავტონომიურ, მაშინდელ სამეგრელოში. ის გამოიწვია დიდგვაროვანთა მხრიდან ქართველთა საადათო სამართლის ნორმების დარღვევამ, რომელიც არეგულირებდა ურთიერთობებს მემამულებსა და ყმა გლეხებს შორის, განსაკუთრებით კი, დანაშაულებრივმა ქმედებებმა და გლეხების უსინდისო ექსპლუატაციამ სასახლის ადგილ-მამულების მმართველის, თავად ჩიქოვანის მხრიდან. მღელვარებამ მოიცვა მთელი გლეხობა. ზუგდიდის გზაზე, ტყის პირას, ვრცელ ვეღზე, ათი ათასამდე გლეხი გან-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 299-300.

ლაგდა ლაშქრულ ბანაკად. გზებზე ყველა მიმართულებით მოეწყო პიკეტები, რომლებიც იტყობინებოდნენ ბანაკის მიმართულებით ყოველი გადაადგილების შესახებ. გლეხებს მოუხმობდნენ სასაყვირე სიგნალებით. ამ მოძრაობის სათა-ვეში იდგა გლეხთა სამი შესანიშნავი წინამძღოლი: კოჩა თოდუა, მართალი თოდუა და მიქავა. კოჩა თოდუა, საბატონო აზნაური, 50 წლისა, ტანადი და წარმოსადეგი, წვრილ ვაჭრობას მისდევდა. ის „სათავეში ჩაუდგა თავისი თემის გლეხთა მოძრაობას, როგორც თავის შეურაცხყოფილ და დამცირებულ ძმათა დამცველი. მას შემდეგ, რაც წინამძღოლად გამოჩნდა, გენერალივით გარემოცვა დაიყენა: მის გარემოცვაში იყვნენ ადიუტანტები, შიკრიკები, მდი-ვანი, რომელიც ბრძანებებს უწერდა... მგზავრობისას, თან ახლდა მთელი ამალა, ზოგჯერ კი, ტახტრევანით დააბრძანებდნენ. გლეხები თავიანთ ბატონებზე საჩივრებით აკითხავდნენ. ის მათ (ბატონებს, რედ.) უწყებით იბარებდა და თუ გამოცხადდებოდნენ, არც თუ იშვიათად საქმეს მშვიდობიანად აგვარებდა, ან არადა, გამოჰქონდა განაჩენი, რომელსაც დაუყოვნებლივ აღასრულებოდნენ. თუ მემამულე არ გამოცხადდებოდა, კოჩა თავის კაცებს აგზავნიდა ადგილზე მასთან ანგარიშის გასასწორებლად და გლეხთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ის მკაცრი იყო და წესრიგი უყვარდა. მემამულეები თვითონ ექვებდნენ მის მფარველობას. ის მათ იღებდა, უსმენდა და ყოველთვის გლეხებს როდი ამართლებდა... მაგრამ ვაი იმ მემამულეს, რომელიც ურჩობას გაბედავდა! ქორივით დააცხრებოდა მთელ მის სახლეულს და სრულიად უბოდიშო ანგარიშსწორებას მი-მართავდა. თითზე გადასახვევსაც აღარ დაუტოვებდა და

მემამულე ღმერთს მადლობას სწირავდა, მთელი და სალ-სალამათი რომ რჩებოდა.“<sup>1</sup>

თვითმხილველი გენერლის, კ. ბოროზდინის სიტყვებს თუ კერწმუნებით, „სულ სხვა ჯურის კაცი იყო მართალი თოდუა. „მართალი“ საკუთარი სახელი არ გახლავთ. ეს მეტსახელია, რომელიც რუსულად ნიშნავს „ალალ-მართალს“, „სამართლიანსა“ და „პატიოსანს“. ეს მეტსახელი ტყუილად როდი შეარქვა ხალხმა! მისმა პიროვნულმა თვისებებმაც თავისი შედეგი გამოიღო... მართალი თოდუა შინამრეწველი გახლდათ და ხის ჭურჭელს, უძ-თავრესად, თეფშებს ამზადებდა. თავისი საქმის ერთგული, შრომისმოყვარე, ღვთისმოსავი, უკვე ხანდაზმული (ისიც 50 წლისა გახლდათ), ოჯახის პატრონი, განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა თანასოფლელებში. ხოლო როდესაც სალიპარტიანო თემის გლეხები ამხედრდნენ, ერთხმად აირჩიეს იგი თავიანთ წინამდლოლად და სთხოვეს, როგორმე სრული სიმართლე მიეტანა დედოფლის, შემდეგ კი, თვით მეფის ყურამდე. მართალი თოდუა... თავისი წინამდლოლის დროს, მუდამ ცდილობდა მისთვის ჩვეული მშვიდი და გონივრული სიტყვით მოეთოკა ყველანაირი უკიდურესობანი გლეხობის მხრიდან... ბანდებთან ერთად, ის არ დათარეშობდა. თავის ქოხში იჯდა, ძველებურად, თეფშებს თლიდა და ხალხში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში თუ გამოჩნდებოდა.“<sup>2</sup>

მესამე წინამდლოლი გახლდათ ნიჭიერი მჭედელი მიქავა. „გლეხთა მოძრაობის დასაწყისში, მიქავას სამჭედლო შეკრების პუნქტად იქცა, მისმა მეპატრონებ კი, ოცდაათი-ოდე წლის ჭაბუკმა, საზრიანმა, ეშმაკმა ყმაწვილმა, ისე

<sup>1</sup> К. Бороздин, Упразднение двух автономий (Исторический Вестник, 1885 г. Март, გვ. 485.)

<sup>2</sup> იქვე, გვ. 485-6.

მოახერხა წინამდლოლობის მოპოვება, რომ გლეხებისათვის თავისი თავი არ მოუხვევია. ბუნებით უინიანი, მალე თავადაც გაიტაცა ამ როლმა და გლეხებზე განუსაზღვრელი ძალაულება მოიპოვა. მემამულებზე მისი ანგარიშსწორება ყველაზე მგზნებარე და ენერგიული გახლდათ, მოულოდნელად თავს ესხმოდა მათ, რაც კი რამ ებადათ, ართმევდა, გლეხებს ურიგებდა და ბატონებს ხშირად ტყვედ ამყოფებდა გამოსასყიდის მიღების მიზნით. უფრო მეტი იმ თავადებსა და აზნაურებს ხვდებოდათ, რომლებსაც სისასტიკით სხვებზე მეტად გაეთქვათ სახელი. წიგნიერი და მჭევრმეტყველი... დიდგვაროვნებისადმი სიძულვილით გამსჭვალული, შურისძიების არანაირ ხერხს არ თაკილობდა თავისი სამმოს ასწლეულების მანძილზე ჩაგვრისათვის.<sup>1</sup> გლეხთა მოძრაობა დაიწყო სამეგრელოს მმართველის (დედოფლის, რედ.) იქ არყოფნისას. როდესაც ის დაბრუნდა, თავად ჩიქოვანის ზემოქმედების შედეგად, ვერ შეძლო ღრმად ჩასწვდომოდა საქმის არსს და თანაევრძნო გაღატაკებული და სამართლის მაძიებელი გლეხობისათვს. მან ხალხის მჩაგვრელთა მხარე დაიჭირა, რადგან მათ ქმედებაში მხოლოდ ამბოხი და ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა დაინახა. თუმცა, გლეხები საკმაოდ ზომიერ, მინიმალურ მოთხოვნებს აყენებდნენ: მათ უნდოდათ, რომ ადამიანურად მოცყრობოდნენ, ნუ დატანჯავდნენ, ურჩიბის გამო ჯაჭვით ნუ შებორკავდნენ, საქონელივით ნუ გაყიდონენ; უნდოდათ დაეცვათ საუკუნეობრივი ნორმები ქართველთათვის ჩვეული ბატონყმური წესისა. გლეხთა ქმედებებში მტრობის ნასახიც კი არ იყო სამეგრელოს მმართველ პირთან მიმართებით. პირიქით, მთელი გულით სწამდათ, რომ კნეინა მათ გაჭირვებას გაითავისებდა და

<sup>1</sup> იქვე, გვ. 486.

მჩაგვრელებისაგან დაიცავდა. მაგრამ მმართველ ქალბატონს თვალზე ლიბრი გადაჰკვროდა, მხოლოდ თავად ჩიქოვანის თვალით აღიქვამდა მოვლენებს და ამით, როგორც ეს არცუ იშვიათად ხდება ასეთ შემთხვევებში, თავადვე კარგავდა მთელ იმ ნდობასა და სიყვარულს, რომლითაც ხალხში სარგებლობდა. მას არ შეეძლო ამ მოძრაობის საკუთარი ძალებით ჩახშობა და დასახმარებლად რუსულ ხელისუფლებას, ქუთაისის გუბერნატორს, კოლიუბაკინს მიმართა, რომელიც სამეგრელოში ჩამოვიდა და გლეხების საჩივრის სამართლიანობაში დარწმუნდა. მოძრაობის ჩაწყნარებასთან ერთად, მან აუცილებლად მიიჩნია სამეგრელოს დამოუკიდებელი ავტონომიის გაუქმება და მისი რუსული სამფლობელოებისათვის შეერთება. ასე ამგვარად, მოცემულ შემთხვევაშიც, გლეხთა მოძრაობამ, ადგილობრივი ხელისუფლების სიბრძმავის წყალობით, საბედისწერო გავლენა იქნია 1867 წელს სამეგრელოს მიერ აგტონომიური უფლებების დაკარგვაზე.

უკმაყოფილების გრძნობა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც ფესვი გაედგა დასავლეთ საქართველოში ქართველი გლეხობის იმედგაცრუების წყალობით, 60-იანი წლებისათვის განელდა. ხმები მოსალოდნელი ბატონიყმობის და მემამულებზე დამოკიდებულების გაუქმების შესახებ, იმედიან გამოხმაურებას პპოვებდა ქართველი გლეხეცის სულში, რომელიც ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ელოლიავებოდა ოცნებას ამგვარ თავისუფლებაზე. 1864 წლის 8 ნოემბერს ტფილისის გუბერნიაში, 1865 წლის 13 ნოემბერს ქუთაისის გუბერნიაში, 1866 წლის 1 დეკემბერს კი, — სამეგრელოში გამოიცა ბრძანება ბატონყმობის გაუქმების შესახებ. გლეხობის გათავისუფლებისას, საქართველოში ხელისუფლება არ აღმოჩნდა თავისი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ქართული ბატონყმობის ჭეშმა-

რიტ ბუნებასა და ხასიათს ჩასწეომოდა და რუსული ბატონყმობისაგან განესხვავებინა, ამით ეხელმძღვანელა და გლეხობის უფლებებისა და ინტერესების დაცვა მოქერხებინა. უბედურება ის იყო, რომ ქართული ელემენტის სისტემატურმა უგულებელყოფამ სამსახურებრივ იერარქიაში და ყოველგვარი თვითშემოქმედებისა და თავისუფალი აზრის ხელოვნურმა დამუხრუჭებამ ქართულ საზოგადოებაში ის გამოიწვია, რომ იმჟამინდელ საქართველოში, მთავრობას არ აღმოაჩნდა საჭირო კადრები ინტელიგენტი, იდეისთვის თავდადებული მუშაკებისა, რომლებსაც ხელეწიფებოდათ დიადი რეფორმის განხორციელება. იმაზე კი ლაპარაკიც არ ღირს, რომ თავადაზნაურობა, უმცირესობის გამოკლებით, მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვაზე ფიქრობდა. ქართული ბატონყმური სისტემა რთულია, მაგრამ სავსებით აშკარად იკვეთება ყმების ზოგიერთი კატეგორია: ბევრ შემთხვევაში, საქმე გვაქონდა უბრალო პატრონატთან, ყმა თოვლებოდა მიწის მუდმივ მფლობელად, ბეგარა და ყველა სხვა ვალდებულება მკაცრად და სამუდამოდ იყო განსაზღვრული, ხშირად მოიპოვებოდა წერილობითი პირობები და შეთანხმებები. ეს ყველაფერი ყურადღების მიღმა დარჩენილიყო და რუსეთისათვის დამახასიათებელი სისტემა, რომელიც საქართველოსათვის მოერგოთ, უკიდურესი უსამართლობა და ქართველი გლეხობის უფლებების შელახვა გახლდათ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი და მთავრი როდია! საქმე ისაა, რომ ყმა გლეხებს საქართველოში უფლება ჰქონდათ საკუთარი საჭიროებისათვის უსასყიდლოდ ესარგებლათ მამამულის ტყითა და საძოვარი ადგილებით. მაგ.: მეფე ვახტანგ VI-ის კანონების §-172-ში ნათქვამია: „არ შეიძლება ტყითა და შეშით სარგებლობის აკრძალვა, რადგან თუ ბარის ბინადარი სახლს ვერ ააშენებს და შეშას ვერ მოიხმარს,

ქვეყანაში მოსახლეობა შემცირდება, ხელმწიფეს კი, საქმა-რისი ჯარი არ ეყოლება და ნადირობასაც მოისაკლისებს.<sup>1</sup> მაგრამ ტყის მფლობელს შეუძლია ნადირობისათვის მიწის ერთი ნაკვეთი ნაკრძალად დაიტოვოს და ჩეხვა აკრძალოს.<sup>2</sup> ასე რომ, გარდა ერთი ნაკრძალი ნაკვეთისა, გლეხებს, შინაური მოხმარებისათვის, შეეძლოთ მემამულის მთელი ტყით ესარგებლათ. ჩვენამდე მოაღწია მეფე ერეკ-ლე II-ის 1785 წლის ერთმა ბრძანებულებამ იმის თაობაზე, რომ თავად ამილახვრებს არ გაებედათ, „აკრძალათ გლე-ხებისათვის ტყით სარგებლობა და ურმების ასაგებად მასალის გატანა.“ „ნება დაერთოს მათ, ასევე, აძოვონ თა-ვიანთი საქონელი,“ ბრძანა მეფემ. ხოლო რაკი ამილახ-ვრებმა დაარღვიეს ტყით სარგებლობის გლეხთა უფლება და მათგან ფულის გამოძალვას შეუდგნენ, ერეკლე II-მ წერილობითი ბრძანება გასცა, გლეხებისათვის დაუყოვ-ნებლივ მთელი თანხა დაეპრუნებინათ.<sup>3</sup> ხოლო წ-64-ში, სადაც ლაპარაკია „ქართველ მეფეთა მმართველობის დროს კანონით დაწესებულ წეს-ჩვეულებებზე“, ნათქვამია: „არიან თავადები და აზნაურები, რომელთაც აქვთ ტყეები, წყლები და სათიბები მთითა და ბარით, და მავანნი და მავანნი თავის სასარგებლოდ იყენებდნენ და ნებართვის გარეშე არავის აძლევდნენ ამ ადგილებით სარგებლობის უფლებას. მაგრამ იქაურ, ისევე როგორც ახლო-მახლო მცხოვრებ მოსახლეებს გამოჰქონდათ შეშა და ხე-ტყის მასალა თა-ვისთვის და თავიანთი ოჯახებისათვის და არა გასაყიდად. ასევე არ ეკრძალებოდათ მათ საძოვრებზე საქონლის საბა-ლახოდ მიშვება. გარე სოფლების მაცხოვრებლებს კი,

<sup>1</sup> ნადირობა ძველ დროს საომარ ვარჯიშს ცვლიდა.

<sup>2</sup> შდრ. Френкель, Сборник законов грузинского царя Вахтанга, გვ. 51. თარგმანი მოლად ზუსტი არ არის.

<sup>3</sup> Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты, გვ. 45-46.

ხსენებული ადგილებით სარგებლობის უფლება ეძლეოდათ მემატელეთა ნებართვით და ისიც იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულ ფასს გადაიხდიდნენ.“<sup>1</sup> ყმა გლეხების გათავისუფლების დროს, საქართველოში მათთვის მინიჭებული ამ უფლებისათვის სათანადო ყურადღება არავის მიუქცევია და გლეხებისთვის არც არავის დაუდასტურებია და არც რაიმე ანაზღაურება დაუწესებია. ეს კი, იგივე იყო, რომ ქართველი გლეხებისათვის წაერთმიათ მათი საუკუნეობრივი უფლება, რადგან ტყისა და საძოვრების გარეშე, ისინი უბრალოდ ვერ იარსებებდნენ.

ადრე თუ გვიან, ამას უთუოდ გარკვეული შედეგი მოჰყევებოდა. ოღონდ ეგაა, რომ გლეხთა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების დროს, თავად ამ ფაქტს ისეთი დამაშოშმინებელი ზეგავლენა ჰქონდა საქართველოში, რომ ზემოხსენებულ სამართალდარღვევებს გლეხობაზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენა. თუმცა, ბატონყმობის გაუქმებიდან მოყოლებული, რაც მეტი დრო გადიოდა, მით მეტად იგრძნობოდა ქართველი გლეხების უფლებათა ამგვარი შეკვეცის მძიმე შედეგები.

ჯერ კიდევ 1878 წელს, აღმოსავლეთ საქართველოში, სიღნაღის მაზრაში, მდელვარება დაიწყო გარკვეულწილად განსხვავებულ ნიადაგზე. რამდენადაც ბერლინის კონგრესი ერთ დროს ავისმომასწავებლად მოასწავებდა ახალი კონფლიქტის განვითარებას, თურქეთთან გაჩაღებული ათოვიანი ომით უკვე დაქანცული მთავრობა იძულებული გახდა, ხელახლა შესდგომოდა სამხედრო სამზადისს. სხვა ადგილების ჩათვლით, სიღნღის მაზრაშიაც გამოცხადდა მილიციის (სამხედრო შენაერთი, რედ.) შეკრება. მაშინ მაზრის უფროსმა, გრაფმა ტიზენჰაუზენმა სოფლის მამა-

<sup>1</sup> Френкель, Сборник законов царя Вахтанга, гл. 380.

სახლისებს უბრძანა, დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ 19-დან 30 წლამდე გლეხების სის შედგენას. ეს სამთავრობო განკარგულება მექივით დაატყდა თავს მთელი მაზრის მოსახლეობას. უკვე ზედიზედ 15 წელი არ ყოფილიყო მოსავლიანი წელიწადი; მოსახლეობა გაღატაკებულიყო, ყელამდე ვალებში იხრჩობოდა და მხოლოდ უკანასკნელ წელს გამოეგზავნა ზეცას გლეხებისათვის უხვი სამკალი. სოფლელებს, რომლებმაც ის იყო, თითქოს შვებით ამოისუნთქეს, მწარე იმედგაცრუება ელოდათ. ომის დროს, გლეხები იძულებული გახდნენ ჯარის საჭიროებებისათვის გარეთ გამოეტანათ მათ ხელთ მყოფი თითქმის ყველა საზიდარი. საქონლის რაოდენობამ იკლო. მოსახლეობის მთელი მუშა ძალა მოწყვიტეს საველე სამუშაოებს. გლეხები ხედავდნენ, რაც ემუქრებოდათ. სოფლებში ყველგან იგრძნობოდა აშკარა უკმაყოფილება. საღამოობით ხალხი თავს იყრიდა და თავის გაჭირვებაზე ლაპარაკოდდა. გლეხის ქალები თავიანთ ქმრებს, ძმებსა და მამებს მოუწოდებდნენ, მთავრობას არ დამორჩილებოდნენ, რომელიც მათ აპარტაზებდა, მაგრამ ჯერ კიდევ იგრძნობოდა ჭოჭმანი. თუმცა, როგორც კი სოფლებს მოედო ცნობა მილიციის შეკრების შესახებ, შფოთმა უკვე რეალური ხასიათი მიიღო. ყველამ თავი ანება სამუშაოს და თავყრილობებისაკენ გაემართა. მხურვალე, მზნებარე სიტყვები, მეტადრე ქალებისა, გამოხმაურებას პოულობდა მსმენელთა გულებში. გლეხები მამასახლისებისაგან მოითხოვდნენ, არ შეედგინათ სიები, მაგრამ უეცრად ხმა გავარდა, რომ ბოქაულის საუბნო წარმომადგენლები და მამასახლისები საიდუმლოდ უკვე ადგენდნენ გასაწვევთა სიებს, ოღონდ, 15-20 რუბლის ქრთამის საფასურად, ისინი, ისევე როგორც საურმე ბეგარის დროს, მავანთა და მავანთა გვარებს შლიდნენ და მათ სხვების გვარებით ცვლიდნენ. მაშინ

გლეხებმა გადაწყვიტეს, აქტიურად ემოქმედათ და მთავრობისათვის განეცხადებინათ, რომ მათ არ ხელეწიფებოდათ მილიციის შეკრება და უარს ამბობდნენ მთავრობის განკარგულების შესრულებაზე. მოსახლეობამ დაიწყო შეიარაღება. ქალებმა წამოიწყეს აგიტაცია ადგილობრივ ადმინისტრაციაზე შეტევის მიტანის თაობაზე. 4 მაისს, კვირა დღეს, როდესაც კენჭი უნდა ეყარათ, ერთ დიდ სოფელში სოფლელებმა მამასახლისი გალახეს. ამ საკითხთან დაკავშირებით, მაზრის უფროსის მიერ გამოგზავნილმა პრაპორშიკმა შანშიერმა (შანშიაშვილი, რედ.) თავიდან ხალხი თითქოს დააშოშმინა, მაგრამ მერე, ერთ ყმაწვილზე გაბრაზებულმა იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა მთავრობის მორჩილებაზე, სოფლის შიკრიკს ყმაწვილის დაპატიმრება უბრძანა. ხალხმა შიკრიკს ყმაწვილის დაპატიმრების უფლება არ მისცა და კარგადაც მიბეგვა, პრაპორშიკს კი, ურჩია, სანამ მთელი და საღსაღამათი იყო, გასცლოდა იქაურობას. იმ დღეს ბევრი სოფლის გაერთიანებული ყრილობა ტარდებოდა. მაზრის უფროსი, რომელსაც ეს ყველაფერი მოახსენეს, მიხვდა, რომ საქმე სერიოზულ მიმართულებას იღებდა და ჯარის გამოძახება გადაწყვიტა. ამისათვის საჭირო იყო საქმის ვითარება ემცნო გენერალი ორბელიანისათვის, რომელიც ამ რაიონში დაბანაკებული ჯარის უფროსი გახლდათ. მაზრის უფროსს, რომელიც ეტლით გენერალთან მიემგზავრებოდა, გზაზე ხალხის უშველებელი მასა შემოეყარა. ხალხი შფოთავდა და მკაცრად მოითხოვდა ეტლიდან მის გადმოსვლას. ისინი გაჰყვირდნენ, რომ მან ისინი ჯერ საურმე ბეგარით დააქცია და დაღუპა, ახლა კი, ჯარის შეკრებით ღუპავდა. მაზრის უფროსმა ქართველი თარჯიმნის დახმარებით განუმარტა მათ, რომ ამ ყველაფერს იგი აკეთებდა ხელმწიფის განკარგულებით და თავად მარტო ის შეეძლო, რომ ეშუამ-

დგომლა მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად; იგი შეა-  
მოწებდა ყველა სიას და ყველა გამყალბებელ დამნაშავეს  
მკაცრად დასჯიდა. მაზრის უფროსმა იკითხა, აქამდე  
რატომ არ მიმართეს მას გასაწვევი სიების გაყალბების  
შესახებ საჩივრით. ამ სიტყვებზე ერთმა ქალმა შეახსენა,  
რომ მავანმა და მავანმა მიმართა მას ასეთი საჩივრით,  
მაგრამ მან ის გამოაგდო. ხალხი სულ უფრო და უფრო  
შფოთავდა. გაისმა მაზრის უფროსის გალახვის მოწოდე-  
ბები, მაგრამ ამ დროს, ერთ-ერთი მამასახლისი ხალხში  
შეიჭრა და შუაში ჩადგა. მაშინ გაბოროტებულმა ხალხმა  
მამასახლისი გაიმეტა საცემად. უფროსმა დრო იხელთა და  
მეეტლეს უბრძანა, ეტლი დაეძრა და მთელი სისწრაფით  
გაეჭინებინა. ხალხი გაეკიდა და ცდილობდა, გზა გადა-  
ეჭრა, მაგრამ ვერ დაეწია. გრაფმა ტიზენპაუზენმა გენერალ  
ორბელიანს მიაშურა და ყველაფერი მოახსენა. ოვგორც კი  
გენერალმა უახლოესი სამხედრო ნაწილის სასწრაფოდ  
გამოცხადების ბრძანება გასცა, გაცეცხლებული ბრძო  
ყვირილითა და ლანბძლვა-გინებით მაშინათვე მისი სახლი-  
საკენ დაიძრა. მათ გენერალს განუცხადეს, რომ დაიხოცე-  
ბოდნენ, მაგრამ ჯარისკაცებს არ მისცემდნენ. გენერალმა  
განუმარტა მათ, რომ ეს იყო ხელმწიფის ბრძანება და რომ  
მას, მაზრის უფროსთან ერთად, მარტო ის შეეძლო, რომ  
ეშუამდგომლა მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რის  
შესრულების პირობასაც იძლეოდა. ხალხი, რომელიც  
თითქოს ოდნავ დამშვიდებულიყო, ისევ გააცხარა ერთი  
ქალის დამცინავმა წამოძახილმა, თქვენ გასულელებას და  
დაშოშმინებას რა უნდა, საკმარისია, ორი ტკბილი სიტყვა  
გადმოგიგდონო. ბრძო ეცა მაზრის უფროსსა და გენერალს  
და ორივე მიბეგვა. როდესაც ერთმა ჩაფარმა ხანჯალი  
დააძრო და გენერლის დაცვა მოინდომა, მან ბრძანა, ხელი  
არავის ახლოთო. გენერლის ამ ოაინდულმა ნაბიჯმა მაში-

ნათვე მის სასარგებლოდ განაწყო აბობოქრებული ბრძო. მაშინვე შეწყვიტეს მისი ცემა და ოთახშიაც კი გადაიყვანეს. ნაცემი მაზრის უფროსი კი, ეტლში ჩასვეს და, ყოველი მხრიდან გარშემორტყმული, სამაზრო ქალაქში წაიყვანეს, რათა აუძულებინათ, ჯარისკაცების გასაწვევი ნუსხები დაეხია. მაგრამ გზაში გადაიფიქრეს და ყველა თავის სახლში წავიდა. ხალხი ასე თუ ისე დამშვიდდა. ამასობაში, იმ ადგილას ჯარი შეკრიბეს. დამნაშავეები დააპატიმრეს და ჩვიდმეტი ბრალდებულიდან ცხრა მამაკაცს და ორ ქალს სასამართლომ 45-წლიანი კატორლა მიუსაჯა.<sup>1</sup>

80-იანი წლებიდან, ალექსანდრე III-ის მეფობის დროს, საქართველოსთან მიმართებით გამოიყენეს განსაკუთრებული პოლიციურ-რეპრესიული ზომები: სკოლა იქცა ყველაზე უფრო უცერემონიო რუსიფიკატორული პოლიტიკის უშუალო იარაღად და დაწესებულებად, სადაც „ერთგულ ქვეშევრდომ“ მასწავლებლებს აღსაზრდელებისათვის „უსაზღვრო რწმენა“ და „კეთილსაიმედობა“ უნდა ჩაეწერგათ. ბატონ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთ, თავიანთ ძირითად ამოცანად სოფლის სკოლებიდან მოსახლეობის მშობლიური ენის განდევნა და ყველა საგნის უაზრო „მუნჯი“ მეთოდით, ანუ მშობლიური ენის გამოუყენებლად, სწავლება მიაჩნდათ. სასამართლოს, თუმცა კი დასტყობოდა ალექსანდრე II-ის ეპოქის ლიბერალური სულისკვეთების კეთილისმყოფელი გავლენა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორიცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არჩევითი, მუდმივი მოსამართლები, ქართული საზოგადოების მრავალგზის

<sup>1</sup> ოქმი და ქორესპონდენციები ამის შესახებ, დაბეჭდილია გაზეთ „Обзор“-ში 1878 წლის ივნისის, ნოემბრის, დეკემბრის ნომრებში (გაზეთ „Обзор“-ს გამოსცემდა ნ. ნიკოლაძე, რედ.).

შუამდგომლობის მიუხედავად, ჯერაც არ გახლდათ დამ-კიდრებული. გარდა ამისა, სასამართლო პროცესები, ძველებურად, მოსახლეობისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდი-ნარე, უგულებელყოფნენ ქართული საზოგადოების მრა-ვალჯერად შუამდგომლობას ერობის დანერგვის შესახებაც. ეკლესიაც კი, უწინდებურად პოლიტიკური პროპაგანდისა და გარუსების იარაღი გახლდათ მთავრობის ხელში. ქართული ეკლესიის უმაღლესი რუსი იერარქები ლია კავშირში იმყოფებოდნენ პოლიციასთან საიდუმლო, თუ აშკარად ჩვეულებრივთან. საეკლესიო-სამრევლო სკოლები-დანაც კი, უკიდურესი დაუინებითა და შეუპოვრობით დაიწყეს ქართული ენის განდევნა. იმავდროულად, რუსი ეგზარქოსები და მათი მოციქულები ფარისევლურ მზრუნ-ველობას იჩენდნენ ქართველთა ტომების მიმართ და ნიანგის ცრემლებს ღვრილნენ იმის გამო, რომ მათ არ შეეძლოთ ღვთის სიტყვის მოსმენა საკუთარ კილოკავშე!.. სასწავლო ოლქის მზრუნველთან საამურ ერთობაში, ისინი გულისამაჩუყებლად ცდილობდნენ მეგრელებისათვის, ამ ძირძველი ქართული ტომისათვის, რომელმაც საუკუნეების მანძილზე არ იცოდა და არც უნდოდა სცოდნოდა სხვა დამწერლობა, გარდა მშობლიური ქართულისა, სასულიერო და საერო ლიტერატურისა, შეექმნათ ვითომცდა ახალი, საკუთარი დამწერლობა, რომელსაც საფუძვლად ედო რუ-სული ანბანი. საპოლიციო სამღვდელოების წარმომადგენ-ლებმა, ახლადგამოჩეკილმა „სამოცდაათმა“ განმმარტებელმა ბრძენმა მთარგმნელმა ხელი მიჰყევს საღვთო წერილის მეგრულად თარგმნას (ივ. ჯავახიშვილი გულისხმობს 70 სასულიერო პირს, ვინც ბიბლია ლათინურად თარგმნეს, რედ.), მაგრამ ამაოდ! ხალხს არ სურდა ყური ეგდო ღვთის სიტყვისათვის, რომელიც სამშობლოს მოღალატეთა

შხამით იყო წაბილწული და ყველგან, ზიზღითა და სიძულვილით ხვდებოდა მეგრელთა „განმანათლებლებს“... ამასობაში სულ უფრო და უფრო პროგრესირებდა მცირე-მიწიანობა: როდესაც ქუთაისის გუბერნიაში ერთ კომლზე საშუალოდ მოდის მთელი ვარგისიანი მიწის მხოლოდ 3.28 დესეტინა, ხოლო სახნავი მიწის მხოლოდ 1.92 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში მთელი ვარგისიანი მიწის გაცი-ლებით ნაკლებად ნაყოფიერ ნიადაგზე, ერთ კომლზე მოდის 6.84 დესეტინა, სახნავი მიწისა კი, – მარტო 4.92 დესეტინა, მაშინ როდესაც მოსახლეობის სიმჭიდროვე (უდაბო და ქვიანი, მთიანი ადგილების გამოკლებით) გვიჩ-ვენებს ერთობ საყურადღებო ციფრს: 36. 21 კვ. ვერსზე ტფილისის მაზრაში (ყარაიაზის სტეპის უდაბნოსთან ერთად, 3. 5 მაცხოვრებლით 1 კვ. ვერსზე), 42.3 – გორის მაზრის მეჯვრისხევის უბანზე, 45.4 – სიღნაღის მაზრის მაჩხაანის უბანზე, 114.8 – ქუთაისის მაზრის სამ-ტრედისა და 93.5 – ხონის უბნებზე, 110.1 – სენაკის მაზრის აბაშის უბანზე, 113.4 – შორაპნის მაზრის ყვირი-ლის უბანზე. ერთი სიტყვით, როდესაც მცირემიწიანობამ უკიდურეს საზღვრებს მიაღწია, სწორედ ამ დროს, ყველა თავისუფალი სახაზინო მიწა საქართველოში, საკოლონიზა-ციოდ დაეთმო რუს გლეხობას; შავი ზღვის უმდიდრესი სანაპირო კი, დაინაწილეს ბატონმა მინისტრებმა და ბე-დისაგან განებივრებულმა სხვა პირებმა. ადგილობრივ ქარ-თველ გლეხებს კი, მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ რთავდა ნებას, დასახლებულიყო თავისუფალ სახაზინო მიწებზე. ქართველი გლეხობა ცხადად ხედავდა რუსი „კოლონიზატორების“ განსაკუთრებულ მფარველობას, ხო-ლო თავიანთი მდგომარეობისა თუ გაჭირვების აშკარა უგულებელყოფასა და არად ჩაგდებას. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ მოძრაობის დაწყების შემთხვევაში, იგი

ქართული საზოგადოების ყველა ფენას მოიცავდა და გრანდიოზულ მასშტაბებს მიიღებდა. და ეს მოძრაობა, ისევე როგორც უწინ, აგრარულ ნიადაგზე დაიწყო და პირველ რიგში, გლეხები მოიცვა. აღმოსავლეთ საქართველოში, ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, სულ უფრო ხშირად იჩენდა თავს გაუგებრობანი გლეხთა მიერ საძოვრებითა და სატყეო ადგილ-მამულებით სარგებლობის უფლებების დარღვევის საფუძველზე. შეჭირვებით შევიწ-როებულნი, ტყის წახდენასა და უნებართვო გაჩეხვასაც აღარ თაკილობდნენ, თანაც, გლეხები ასეთ შემთხვევებში მუდამ საადათო სამართალს იმოწმებდნენ. მათ არ იცოდნენ, რომ ეს უფლება მათთვის, მეუე ვახტანგის კანონებითაც იყო გამყარებული. ურთიერთობანი მემამულებსა და გლეხებს შორის ძალზე გამძაფრდა. თავადაზნაურთა გონიერი ნაწილი აყენებდა საკითხს კანონმდებლობის საშუალებით ამ მწვავე თემის და რეგულირების აუცილებლობის შესახებ. მთავრობა კი, ჯიუტად დუმდა, თუმცა, საქმის ვითარება ძალზე სერიოზული იყო. დასავლეთ საქართველოში მწვავე მცირებიწიანობის გამო, მიწაზე საიჯარო ფასმა კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია. რაკი მთავრობა ქართველ გლეხებს შავი ზღვის სანაპიროზე თავისუფალ სახაზინო მიწებზე დასახლების უფლებას არ აძლევდა, მიწაზე საიჯარო ფასის ხელოვნური ზრდა კვლავინდებურად უნდა გაგრძელებულიყო. დროებითმა აფეთქებებმა და მღელვარების ცალკეულმა გამოვლინებებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო 1901-2 წლებიდან. იმუამად, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაში (ოზურგეთის მაზრაში) შემოუსავლო წელიწადი იყო. ისედაც მძიმე საიჯარო პირობები, იმსანად სრულიად გაუსაძლისი შეიქნა. დაიწყო ყრუ დრტვინვა. 1902 წელს ბათუმში, ფაბრიკებში, სადაც მუშათა უმრავლესობა ოზურ-

გეთის მაზრის უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხებისაგან შედგებოდა, დაიწყო გაფიცვა. გაფიცულთაგან ბევრი ადმინისტრაციამ სამშობლოში (მშობლიურ სოფლებში, რედ.) გაასახლა. შინ დაბრუნებული გლეხები ყრუ დრტვინვის მოწმენი შეიქნენ. არ კმაროდა მხოლოდ ორგანიზაციული საქმიანობა და ინიციატივა საიმისოდ, რომ ამ ყველაფერს რეალური ფორმა მიეღო. სწორედ გასახლებულმა მუშებმა გამოავლინეს ეს ორგანიზაციული სულისკვეთება და განავრცეს იდეები გაერთიანებული ძალებით ბრძოლის აუცილებლობაზე საკუთარი უფლებების დასაცავად. ეს ყველაფერი მათვის კარგად ნაცნობი იყო თავიანთი სამუშაო ორგანიზაციებიდან. უკვე 1902 წელს ერთდროულად ოთხ დიდ სოფელში დაიწყო აგრარული მოძრაობა. სოფელ ნიგოითში საძოვრების გამო, ერთმანეთს შეეტაკნენ ერთი მსხვილი მემამულის მოურავი და ადგილობრივი გლეხები. პოლიციამ, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, „მეამბოხენი“ დააპატიმრა. მაგრამ ამან მხოლოდ გააუარესა ურთიერთობები, რადგან აღელვებულმა გლეხობამ ამაში პოლიციის მხრიდან მემამულებისადმი მიკერძოება და მფარველობა დაინახა. მაშინ გლეხები შეიკრიბნენ და ჩამოაყალიბეს საერთო მოთხოვნები, რომლებიც ყველა მემამულეს წარუდგინეს, რასაც ადმინისტრაციამ განმეორებითი დაპატიმრებებით უპასუხა. აგრარული მოძრაობის რაიონში გუბერნატორიც ჩავიდა, რომელსაც ადგილობრივმა მოსახლეობამ თავისი გადაუდებელი მოთხოვნები წარუდგინა. მხოლოდ და მხოლოდ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეეძლო აღელვებული გლეხების დაშოშმინება: 1) აუცილებელი იყო მიწაზე საიჯარო გადასახადის შემცირება, 2) საქონლის გასარეკი და საძოვარი ადგილების სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადის გაუქმება, 3) აქციზის გაუქმება არყის გამოხდაზე, რაც

ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა, 4) საზოგადოებრივი საქმი-ანობისა და ბეგარის გადახდის ვალდებულების დაწესება განურჩევლად ყველა წოდებისათვის, 5) სამღვდელოების სასარგებლოდ ნატურალური ბეგარის გაუქმება. ამ მოთხოვნების საპასუხოდ, კვლავ ეგზეკუცია და რეპრესიები მოიშველიეს. ადმინისტრაციის ამგვარი საქციელით გაღიზიანებულმა გლეხებმა მემამულებს სრული ბოიკოტი გამოუცხადეს, არც ერთი მემამულის მიწა არავინ აიღო იჯარით და არავის მოუხნავს. ამას, რასაკვირველია, საშინელი ეკონომიკური კრიზისი უნდა მოჰყოლოდა ქვეყნაში. მაშინ, გარდა თავისი ჩვეული ხრიკებისა, ადმინისტრაციამ, როგორც მას გულუბრყვილოდ ეჩვენებოდა, „შეთქმულების“ რადიკალურად აღმოფხვრის მეთოდს მიმართა: სოფლის ყველა ბიბლიოთეკა დახურა, რადგან ეს მცირე კულტურული დაწესებულებები „შფოთის“ კერძად მიიჩნია.

მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. პირიქით, ხალხმა ადმინისტრაციისადმი ყოველგვარი პატივისცემა დაკარგა. მთავრობა და სასამართლო, რომელიც უკვე დიდი ხანია ქართველი ხალხის დიდი ნდობით აღარ სარგებლობდა, ახლა, პოლიტიკური პროცესების ზეგავლენით, მოსახლეობის თვალში მთლიანად განადგურდა. „მან ბოიკოტი ადმინისტრაციასა და სასამართლოზეც გაავრცელა და თავისი საკუთარი არჩევითი ადმინისტრაცია და არჩევითი სახალხო სასამართლო ჩამოაყალიბდა. ამ დაწესებულებებს, რა თქმა უნდა, უნაკლობას ვერ დავწამებთ, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ სავსებით დემოკრატიული ხასიათი პქონდათ და სრულიად მისაწვდომი გახლდათ ხალხისათვის, რადგან ყველაფერი ქართულ ენაზე წარიმართებოდა და კონტროლს ექვემდებარებოდა. ამაში გამოვლინდა ქართველი ხალხის ორგანიზაციული ნიჭი და მრავალსაუკუნოვანი

კულტურა. მთელ საქართველოში ერთნაირი (მძიმე, რედ.) პირობების არსებობა ხელს უწყობდა მოძრაობის სწრაფ გავრცელებას ქართველობის განსახლების მთელ ჭერიტორიაზე და რაც დრო გადიოდა, ეს მოძრაობა მით უფრო იკრებდა ძალას და აგრარულის ნაცვლად, პოლიტიკურ ხასიათს იღებდა. უკვე უმაღლესი ადმინისტრაციაც ვერანაირ გამოსავალს ვერ პოულობდა იმ ვითარებაში, რომელიც ამ მდგომარეობის შედეგად შექმნილიყო. ვერც სამთავრობო თანამდებობის პირები და ვერც სასამართლო ვეღარ ფუნქციონირებდა. ყველგან მოქმედებდა საკუთარი ადმინისტრაცია და საკუთარი სასამართლო. ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ჩაგვრა და ყველა ელემენტარული უფლების დარღვევა, ძირეული ინტერესების სისტემატური უგულებელყოფა და ფეხქვეშ გათელვა მეფის მთავრობის მხრიდან, ეს უკანასკნელი, სრულ ზნეობრივ გაკოტრებამდე და ყველანაირი ნდობისა და პრესტიუსის დაკარგვამდე მიიყვანა!.. საქართველოში არ არის ისეთი წილება, რომლის პატივისცემითა და სიმპათიით შეიძლება იგი სარგებლობდეს... 1905 წელს კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნულმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა, ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე, გამოუცხადა ხალხს, რომ თავის თანაშემწეს, სულთან-კრიმ-გირეის აგზავნიდა საქართველოში მოსახლეობის საჭიროებებისა და სურვილების გასაცნობად და რომ იგი არ დააყოვნებდა იმის აღსრულებას, რაც ხელეწიფებოდა; ხოლო ყველაფერს, რაც მის უფლებამოსილებას აღემატებოდა, ხელმწიფეს მოახსენებდა.

18 თებერვალს სულთან-კრიმ-გირეი ოზურგეთის მაზრას ეწვია, სოფლები შემოიარა და ხალხის საჭიროებებს გაუცნო. წვრილმანებს რომ თავი დავანებოთ, მთავარი მოთხოვნები შემდეგ პუნქტების სახით იყო წარმოდგენილი: 1) ადგილობრივი საზოგადოებრივი საქმეების განსახილველად

შეკრებისა უფლების მინიჭება და ადმინისტრაციისა და სასამართლოს არჩევის (თვითმმართველობა) ნების დართვა, 2) სასამართლო და სკოლა უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე, 3) მიწა უნდა მიკუთვნებოდა მიწათმოქმედს, 4) უნდა გაუქმებულიყო აქციზი და არაპირდაპირი გადასახადი, 5) უნდა მინიჭებოდათ აზრის, სიტყვიერად, თუ ბეჭდურად, თავისუფლად გამოთქმის გარანტია (სიტყვისა და პრესის თავისუფლება) და ა. შ. სამთავრობო მოხელეები დაგზავნეს საქართველოს სხვა რაიონებშიც. იქაც იგივე მოთხოვნები იყო წამოყენებული. განსაკუთრებული დაუინებით ესმებოდა მხოლოდ ხაზი ქართველი ხალხისათვის თვითმმართველობის მინიჭების აუცილებლობას.

მეფისნაცვალმა ზოგიერთი მოთხოვნა სამართლიანად, მათი დაკმაყოფილება კი, შესაძლებლად აღიარა, თუმცა, ჯერჯერობით, თითქმის არაფერი შესრულებულა ამ მიმართულებით (საქმე ეხება 1906 წელს, როდესაც ეს სტატია იწერებოდა, რედ.). პირიქით, რეაქციის ზეგავლენით, „რევოლუციის ჩახშობის“ ეპოქაში, საქართველომ ისეთი რბევა-აწიოკება განიცადა, თითქოს მტრის შემოსევა დასტყდომია თავს.

**ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოყენებული ლიტერატურისა და  
წყაროების განმატება**

1. Авалов, Присоединение - Авалов З. (Авалишвили), Присоединение Грузии к России, второе издание, С/Пб., 1906.
2. Акты - Акты собранные кавказской археографической комиссией, под редакцией А. Берже т. I - Тифлис, 1866  
т. II - Тифлис, 1868  
т. III - Тифлис, 1869  
т. IV - Тифлис, 1870  
т. V, I и II часть - Тифлис, 1873  
т. VII, I и II часть - Тифлис, 1878  
т. VIII - Тифлис, 1881
3. Бороздин, Упразднение двух автономии - Бороздин Корн. А., Упразднение двух автономии, «Исторический Вестник», С/Пб., 1885, №1-6.
4. Грамоты - Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии, т. II, выпуск I, Грузинские тексты с 1767 по 1801 год, под редакцией А. А. Цагарели, С/Пб., 1898.
5. Дубецкий, Записки и воспоминания, «Русская старина», ч. IV, С/Пб., 1895 (Апрель).
6. Иваненко В., Гражданское управление - Гражданское управление Закавказьем от присоединения Грузии [к России] до наместничества великого князя Михаила Николаевича, Тифлис, 1901.

7. Пурцеладзе Д. П., Грузинские крестьянские - Грузинские крестьянские грамоты, крепостные и судебные акты, грамоты и письма грузинских и персидских царственных особ (Материалы для истории древней Грузии), составитель Д. П. Пурцеладзе, Тифлис, 1882.
8. Сборник законов грузинского царя - Сборник законов грузинского царя Вахтанга VI-го, издание А. С. Френкеля, под ред. Д. З. Бакрадзе, Тифлис, 1887.